„მოგზაური“ წელიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ, № 44.

მოგზაური

ყოველკვირეული ჟურნალი

რედაქცია ყოველ დღე დილის 10 საათ. შუადღის 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

№ 28. კვირა, 31 ივლისი 1905 წლისა. № 28

რედაქციისაგან: ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, შემდეგი ნომრიდან რედაქცია გაზეთის გზავნას შეუწყვეტს.

შინაარსი: სახალხო სკოლა.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—რუსეთის ქრონიკა.—ბურჟუა და პროლეტარი.—ფელეტონის მაგიერი, ეშმაკისა.—ორიოდე სიტყვა კაპიტალის კონცენტრაციაზე, ლ. ახმეტელაშვილისა.—ექიმი კოდრატე ჩიპურტანიძე №-ისა. სათავადაზნაურო სკოლის რეორგანიზაციის გამო, ს. კანდელაკისა.—დედაკაცი და მისი ეკონომიური მდგომარეობა ცეტკინისა.—წერილები რედაქციის მიმართ.

სახალხო სკოლა.

ვგონებ არავის შეურაცხყოფას არ მივაყენებთ ამითი, რომ ვსთქვათ, ჩვენი სოფლის მასწავლებელთა უმრავლესობა ვერ ამართლებდა და ვერც დღეს ამართლებს თავისს მაღალ დანიშნულებას. თითონ სიტყვა „სოფლის ანუ სახალხო“ მასწავლებელი გვიჩვენებს, რომ გარეშე გლეხის პატარა ბიჭებისა მათი გავლენა და. მოქმედება თითონ ხალხსაც უნდა გაკროდა მცირეთ მაინც. აი ამ მხრით, მასწავლებელთა უმრავლესობა სწორეთ ისეთი ჩინოვნიკი იყო, როგორიც სხვა რომელიმე სახელმწიფო დაწესებულების მოხელე ლ თავის უმთავრეს დანიშნულებათ თვლიდა—ბავშვების თუთიყუშური მომზადებით რევიზიორი ინსპექტორის გული მოეგო. ასე იყო თითქმის გასული სამოსწავლო წლის დაწყებამდე და ასე არის დღესაც, იქ, სადაც ხალხის მოძრაობამ მათაც არ გამოაფხიკა ყური.

გასული 1904 წლის მეორე ნახევარში, როცა გლეხთა მოძრაობამ ფრთა გაშალა და ამკარა ხასიათი მიიღო, მასწავლებელთა შორისაც რაღაც ფაცი-ფუცი დაიწყო, თუმცა ამკარათ არსად არ გამოჩენილა მათი პროტესტი.

მდგომარე წლის დამდეგში გლეხთა მოძრაობა იმდენათ გაძლიერდა, რომ სოფლებში «ნორმალური» ცხოვრება შეუძლებელი გახდა. მამების საადუმლო ყრილობები, სჯა-ბაასი და მოთხოვნილებები არც პატარა მოსწავლეებს გამოეპარათ. ზოგიერთ სოფლებში ამათაც თავისებური პროტესტი გამოაცხადეს და სკოლაში სიარულზე ხელი აიღეს. ბავშვების ასეთი საქციელი არ იყო სრულიად უმიზეზო. მათ ხშირათ გაეგონათ, რომ ახლანდელ სკოლაში ბავშვის გონების აბნელებენ, ისეთ რამეებს ასწავლიან, რაც ცხოვრებაში არ გამოადგება, რაც ადამიანს ადამიანურ სახეს უკარგავს და მონათ ქმნის.

ამგვარათ, გაძლიერებულმა გლეხთა მოძრაობამ დაარღვია სოფლისა და მასთან ერთათ სკოლის «ნორმალური» ცხოვრება. და გამოიწვია მოსწავლეთა უკმაყოფილება—აქედან ერთი ნაბიჯი და დრჩა მასწავლებელთა მოძრაობამდე, და მართლაც მარტში თუ აპრილში ქუთაისის დირექციის სახალხო მასწავლებლებმა ,,გაფიცვა'' გამოაცხადეს და სამსახურის ასრულებაზე ვარი თქვეს. როგორც ხედავთ, კითხვა სახალხო სკოლების შესახებ არ არის რაიმე გარეშე ძიზეზებით გამოწვეული, არამედ მჭიდროთაა დაკავშირებული დღევანდელ პოლიტიკურ მოძრაობასთან. ხალხი თხოულობს ცხოვრების განახლებას, თხოულობს თავის უფლებების აღდგენას და აღრე თუ გვიან უთუოდ მიაღწევს მიზანს.

მაშასადამე სასკოლო კითხვა არ შეიძლება გამოიცალოს ამ საერთო მოთხოვნილებიდან და კერძოთ დაისვას. როგორც ამას ზოგიერთა მეტიჩარა პედაგოგები შვებიან. არ შეიძლება იმიტომ, რომ დღეს ხალხი ახალი ცხოვრებისათვის იბადება მთელი თავისი არსებით, საღი და სრული.

დიახ, ყოველად შეუძლებელია სკოლა, ან სხვა რაიმე დარგი ცხოვრებისა, გამოიყოს და დაკმაყოფილდეს ცალკე, როცა ძალა მოწინააღმდეგე ისევ ძალათ რჩება. ამიტომ სწორეთ უბრალო წყლის ნაყვათ უნდა ჩაითვალოს ის ვითომდა ცვლილების შეტანა სახალხო სკოლის პროგრამაში, რომელიც ამ საქმისათვის მოწვეულმა მასწავლებელთა კომისიამ გამოაქვეყნა. ხსენებული პროგრამით შეიძლება მთავრობამ ნაციონალისტთა ჯგუფი მოიმადლიეროს, რადგანაც ამ ვაებატონების აზრით სასოფლო სკოლების რაციონალურათ მოწყობისათვის მხოლოთ დედა-ენის შემოღებაა საჭირო. ის ხალხი კი, რომელიც იბრძვის ცხოვრების გაუჯობესობისათვის და რომელმაც წამოაყენა აღნიშნული კითხვა, ასეთი საკენკით არ მოტყუვილდება. ქართული ენის შემოღება, სრულიადაც არ ნიშნავს სახალხო სკოლის განახლებას და გაფთავისუფლებას. მიუხედავათ ჩვენი „ეროვნული ყმაწვილების“, მეჯლისისა, სკოლის თავისუფლებამდე ჯერ შორს არის. ახალი და თავისუფალი სკოლა შეიძლება მხოლოთ ახალს წყობილებაში და უსუსურობა იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ თავისუფალ სკოლას ჩვენ ვინმე გვიწყალობებსო.

ჩვენ არ ვიცით, როგორ შეხვდებიან ამ „ახალ“ პროგრამას ჩვენი სახალხო მასწავლებლები, მაგრამ საჭირო კია საქმეს ჩაუკვირდებოდენ. თავისთავათ პროგრამაში ახალი არაფერია ისევ ძველებურათ ჩვენებურათ ნახევარი დრო სალმრთო სჯულს გადაუდვეს.

რატომ, არ ვიცი და საჭიროთ დაუნახავს მთავრობას სახალხო სკოლა ორი თუ სამის წლის კურსში მოამწყვდიოს. ,,ხალხს სჭირია ანგარიში და საღმრთო სჯულიო'', ამბობენ ,,ახალი'' პროგრამის ავტორები. ცხადია აქ პოლიტიკურ მოსაზრებით უხელმძღვანელიათ ბ-ნ პედაგოგებს.

რაც შეეხება სხვა ,,მეორე'' ხარისხოვან საგნებს, როგორიც არის მაგალითათ ბუნების-მეტყველება ხალხისათვის საჭიროთ არ უცვნიათ პედაგოგებს. არც ისტორია, (რასაკვირველია სამოქალაქო, თორემ საღმრთო ისტორიას განსა-

კუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული) და არც გეოგრაფია ყოფილა ხალხისათვის საჭირო.

ამგვარათ განახლებული სკოლა იმას ნიშნავს, რომ ძველი, გონების დამბნელებელი პროგრამა უნდა გაიარონ სამშობლო ენაზე. კარგია შენმა მზემ. ახლა ამას დაუმატეთ ძველებური წყობილება სკოლებში; დირექტორის ან ინსპექტორის რევიზია; ათას გვარი სულისა და გონების შემხუთველი ინსტრუქცია—მიწერილობანი; ადმინისტრაციის თვალყურის დევნება და თავისუფალი სკოლის სურათი მზათ იქნება.

ასეთ სკოლაში ნორმალურათ სწავლის მიმდინარეობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, რადგან როგორც თითონ სკოლა, ისე გარეშე ცხოვრებაც მოკლებულია ნორმალურ მდგომარეობას.

როგორც გავიგეთ, ქუთაისის დირექციის მასწავლებლებს თავისი პროგრამის შედგენა განუზრახავთ. ვნახოთ რას გვეტყვის აღნიშნული კომისიის მოქმედება, მაგრამ ჩვენ ჩვენის მხრით დავსძენთ, რომ პირველი მუხლი მათი პროგრამასა უნდა შეიცავდეს ღონიძიებას თავისუფალი სკოლის მოსაპოვებლათ.

X.

სხვა და სხვა ამბები.

კეთილ-შობილ „მილიციონერთა“ მოქმედებამ შესამჩნევათ იმატა. 24 ივლისს გორის სადგურზე სრულიათ უმიზეზოთ გვერდები ჩაამტვრიეს დიმიტრი დიასამიძეს. მოქმედნი პირნი: დავით მუსხელიშვილი, ლენტო დიდებულიძე და ციციშვილი.

—

სოფელ ვეძინში (გორის მაზრა) ვილაცამ მოკლა მემამულე შიოევი. ამბობენ, შიოევსა და ადგილობრივ გლეხთა შორის გამწვავებული დამოკიდებულება იყო და ვეძინში ეგზეკუციის ჩამოყენებაც შიოევის თხოვნით მოხდაო.

—

ამბობენ, ვითომც ქუთაისის ახალ გუბერნატორს ბ. სტაროსელსკის, განზრახვა აქვს დააკანონოს ხალხის მიერ არჩეული ასის და ათის თავებიო.

—

23 ივლისს ნაძალადევში მოკლეს მოიჯარადრე დურგალი ზიბროვი. განსვენებული პატრიოტიული პარტიის საუკეთესო წევრათ ითვლებოდა.

—

ქუთაისის ვიცე-გუბერნატორათ, როგორც ამბობენ, ალექსანდრე ყიფშიძე დაუნიშნავთ.

—

ქალაქ ნოვოროსიისკში 19 ივლისს დიდი არეულობა მოხდა; რკინის გზის სადგური და პურის ბეღლები გადაწვეს. ხალხის დასამშვიდებლათ მოწვეულმა ყაზახ რუსებმა, ჩვეულებისამებრ იარაღი იხმარეს და მრავალი ხალხი დაჭრეს და დახოცეს. ამ საზარელმა ამბავმა ხალხი ძლიერ ააღელვა. ქალაქის საბჭომ კერძო თათბირი მოახდინა და შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა“: 1) პროტესტი გამოეცხადოს იმის გამო, რომ უწესოების მოხდენის დროს სამხედრო ძალას მიმართეს და გაფიცულთ შეუბრალებლათ მოექცენ, რაიცა ეუწყოს კავკასიის ნამესტნიკსა და შინაგან საქმეთა მინისტრს, ყველა იმ ცნობებთან ერთათ, რასაც ქალაქის თვით-მართველობა შეკრებს ამ სამწუხარო ამბის შესახებ; 2) ეშუამდგომლონ, ვისთანაც ჯერ არს, რომ ჩვენების ჩამორთმევისა და წინასწარ გამოძიებაში ნოვოროსიისკის ქალაქის საბჭოს ხუთმა წარმომადგენელმაც მიიღოს მონაწილეობა, და ამასთანავე იოხოვონ, რომ გამოძიებისა და სასამართლოს საქმის წარმოება დაწვრილებით დაიბეჭდოს გაზეთში,—და გამოქვეყნებულ იქმნას სახელი და გვარები, როგორც დაშავებულთა, ისე ყველა იმათიც, ვინც ამ სამწუხარო შემთხვევაში მონაწილეობა მიიღო. ხოლო თუ ამას არ შეიწყნარებენ, შეკრებილ იქნეს ცნობები და უცენზუროთ დაიბეჭდოს; 3) მიენდოს ქალაქის გამგეობას, რითაც შეუძლიან, დაუყონებლივ დახმარება აღმოუჩინოს დაშავებულთა ოჯახობას; 4) გამოეცხადოს ზიზღი და გულის წყრომა კაზაკებს მათის ველური სისასტიკისათვის; 5) ეშუამდგომლონ გუბერნატორთან, რომ ნოვოროსიისკიდან გაძევებულ იქნენ კაზაკები, ვინაიდან პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ყოველ-გვარი უწესობა მხოლოთ მაშინ იჩენს თავს, როცა ქალაქში კაზაკები არიან; 6) ეშუამდგომლონ დეპეშით მინისტრთა საბჭოს წინაშე, რომ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნენ ხალხის წარმომადგენელნი; 7) გამოეცხადოს კავკავის რკინის გზის გამგეობას, რომ ის მუშებს ძლიერ მცირე ხელ-ფასს აძლევს, რითაც მუშებს არსებობა არ შეუძლიათ, და 8) ეთხოვოს გუბერნატორს, აუკრძალოს პატრულებს ქალაქში სიმღერებით სიარული, რათა ამით მცხოვრებთა ადამიანური გრძნობა არ ააშფოთონ. ქალაქის საბჭომ აირჩია ნ წარმომადგენელი, რომელთაც, მთავრობის მოხელეებთან ერთათ, მონაწილეობა უნდა მიიღონ წინასწარ გამოძიებაში, რომ დაამტკიცონ ან უარყონ ის ცნობები, რომ კაზაკებმა გაქცეულ ბობოს დაუწყეს თოფის სროლა.

—

კავკასიის ნამესტნიკის ბრძანებით ქალაქ ნოვოროსიისკში გაძლიერებული დაცვის წესები გამოცხადდა. ამასთანავე ორასი ყაზახ-რუსი გაიგზავნა.

—

გორის მაზრაში გლეხთა დასამშვიდებლათ“ როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, გაგზავნეს გენერალ-ადიუტანტი ივანე გივის ძეამილახვარი, რომელიც ამასთანავე ერთი უდიდესი მემამულეთაგანია გორის მაზრაში. როგორც სამხედრო კაცმა, ხსენებულმა გენერალმაც სიმკაცრით მოისურვა გლეხთა დამშვიდება და ამიტომ მისი დაბრუნების შემდეგ მოძრაობა არა თუ მიწყნარდა, როგორც მთავრობა მოელოდა, არამედ უფრო გაძლიერდა და გამწვავდა. საქმის ამგვარ მიმდინარეობას ხელი შეუწყო სხვათა შორის იმ გარემოებამ, რომ ახლა მკისა და მოსავლის გარიგების დროა. გლეხები თავის მოთხოვნილებას მედგრათ იცავენ და ბატონებს მეათედის მეტს აღარ აძლევენ, რაზედაც უკანასკნელნი წყრებიან. გარდა ამისა თავად-აზნაურთა და გლეხთა შორის მტრობას ხელი შეუწყო აზნაურთა ,,მილიციონერების“ აღვირ წახსნილმა მოქმედებამ; ამბობენ, აზნაურთა ,,შავი“ დრუჟინის საწინააღმდეგოთ გლეხებმა ,,წითელი“ დრუჟინა დაარსეს და მალე აღაგმავენ მოხეტიალე უსაქმურთა თავგასულობასაო. ზემო აღნიშნულ მიზეზთა გამო, მთავარ მართებლის ბრძანებით გორისა და დუშეთის მაზრები გამოუცალკევებიათ თბილისის გუბერნატორის განკარგულებიდან და სამოქალაქო მართვა გამგეობის მხრივ გენერალ ამილახვრისათვის გადაუციათ. თ-დ ამილახვრის განკარგულებაში იქნება, აგრეთვე ის სამხედრო ძალაც, რომელიც ამ ჟამათ აღნიშნულ მაზრებში იმყოფება.

—

საგუბერნიო გამგეობათა კომიტეტს განკარგულება მოუხდენია პატიმართა სასმელ-საჭმელის გაუმჯობესობის შესახებ.

ქ. დუშეთის სატუსაღოდან რამდენიმე ტყვე გაპარულა. მთავრობა გაქცეულებს ეძებს.

—

26 ივლისს პალატაში უნდა გარჩეულიყო საქმე იმ პირთა, რომელთაც ბათუმში პატრიოტულ მანიფესტაციის დაშლა ბრალდებოდათ, მაგრამ საქმე არ შედგა მოწმეების და თელეთის მამასახლისის დაუსწრებლობის გამო.

დაბა-სოფლის ამბები

სოფ. გლდანი. ზეშა ავჭალისა და გლდანის მებაღეები დიდ გასაჭირში ვეყვით და ვართ აქაურ მემამულეთაგან. მებაღეების დიდი უმრავლესობა ბაღს იჯარით იღებს მამულის პატრონებისაგან. სააჯარო ფულის საშვალო რიცხვი 600 მანეთიდან 800 მანეთამდე ადის, და სხვა გადასახადებთან ერთათ მძიმე ხარკათ აწევს აქაურ მებაღეებს.

ამისათვის ჩვენ შევიკრიბენით და დავადგინეთ შემდეგი:

1. მოისპოს სააჯარო ფული.

2. იჯარის ნატვლათ ბაღი სანახევროთ მოგვეცეს. ყოველგვარი ხარჯი: მოჯამაგირე, ბური, სახედრები, კბილჭი და სხვა რა ნივთიც ბაღს სჭირია სასიარო იყოს.

3. ბაღს უნდა ქონდეს: კარგი ბინა, ბოჭკები, ქვევრები და სასუქი. ამ ხარჯებში მებაღეებს წილი არ უნდა ჰქონდეს.

4. მოისპოს მემამულის მისართმევი დვინის თავი და ნობათი.

5. ახალ ნაშენ მამულში მებაღეს ნახევარზე მეტი მიეცეს ამქართა შეფასებით.

6. თუ რამე კარეშე მიზეზებით ბაღმა იზარალოს, (სეტყვით) მემამულემ უზღოს მებაღეს ზარალი, მებაღეთა ამქრის შეფასების თანახმათ.

7. ბაღის მასალის და იარაღის ხარჯი ეოველივე სანახევროთ იყოს.

8. თავისი წილი ჭირნახული მემამულემ თავისივე ხარჯით წაიღოს და როგორც უნდა ისე მოუაროს.

9. მოისპოს მემამულეებისა და მათი მოკეთეების ბაღებში სასიამოვნოთ ჩამოსახლება, რადგანაც მათგან ბაღებს დიდი ზარალი მოსდით.

10. მემამულეს უფლება არა ჰქონდეს მებაღე უმიზეზოთ დაითხოვოს, ხოლო მიზეზი უნდა განიხილოს ამქარმა.

11. თავისი განზრახვა (დათხოვნის შესახებ) მემამულემ ერთი თვით ადრე უნდა შეატყობინოს მებაღეს და აგრეთვ თუ მებაღე წასვლას აპირებს, ერთი თვით ადრე აცნობოს მამულის პატრონს.

12. თუ მემამულეები ამ პირობებზე არ დაგვთანხმდებიან, მაშინ ჯამაგირი აძლიონ მებაღეებს.

13. უფროს მებაღეს მიეცეს თვეში 60 მანეთი, უმცროსს 45 მანეთი.

14. ზემო აღნიშნულ მოთხოვნილებებზე მემამულეებმა 25 აგვისტომდე უნდა მოგვცენ გადაწყვეტილი პასუხი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მომავალი წლისათვის მუშაობაზე ხელს ვიდებთ.

15. ჩვენ მიერ დასახელებული პირობებით მუშაობას დავიწყებთ ამ წლის პირველი გიორგობისთვიდან. თუ მამულის პატრონები თანახმა არ გახდებიან, ჩაიბარონ თავიანთი მამულები და შეისყიდონ ჩვენი კუთვნილი ნივთები.

ხელს აწერს 135 კაცი.

—

ქიზიყი. 12 ივლისი წმინდა ნინოს მონასტერში მოვიდა გლეხთა დასამშვიდებლათ გამოგზავნილი გენერალი ჭავჭავაძე. ხალხი ძლიერ ტოტა დახვდა. წირვის შემდეგ გენერალმა წაიკითხა ნამესტნიკის წინადადება. შეპირდა ხარჯის მოწეს-რიგებას: თქვენც ისე გმუოფილებით გადიხდათ, როგორც რუსეთის შიდა გუბერნიებში ადიანო, უთხრა ხალხს თავადმა. თქვენ თუმცა კადასახადი დიდი კაქვთ, მარა ადგილ-მამულსაც ბღომათ ფლობთო. ქიზიყელებმა ქალაქელები—ხალხი ხართო.

ამ დასკვნამ ხალხი ძლიერ გააკვირვა, რადგანაც ახლანდელი მოძრაობა, უმთავრესათ ადგილის სიავწროვით, უზომო გადასახადებით და სხვა ამგვარებით არის გამოწვეული. აღელვებული ხალხის დასამშვიდებლათ გენერალმა გერმანული გლეხების შეკეწროებული მდგომარეობა მოიყვანა. „ერთი ძროხის მეტი არა უყვთ და ისიც სხვის ადგილში უბიათო“ ამაზე გლეხებმა უპასუხეს, მარა გენერალმა დაჰარაკა შეაწყვეტინა.

ბოლოს თავადმა გაახსენა შეკრებილ გლეხ-კაცობას, რომ ამ ტოტა ხანში ჩვენს მხარეში ერობას შემოიღებენ და მაშინ თქვენს გასაჭირსაც ბოლო მოელებაო. უკმაყოფილო ხალხი დაიშალა იმ რწმენით, რომ მას პატრონი არა ყავს გარეშე თავისი თავისა.

14 ივლისს ბოდბის ყვეში პანაშვიდი გადაიხადეს აღექსანდრე წულუკიძის მოსახსენებლათ. წარმოითქვა რამოდენიმე სიტყვა. პანაშვიდს მრავალი ხალხი დასწრო.

დროებით ქიზიყელი

—

აჭარა. დიდი ხანი არის მას-შემდეგ, რაც გურიაში სმა დაყარეს: აჭარლები გურიაში გედმოსასვლელათ და თავდასხმელათ ემზადებიანო. ამბობდენ, აჭარელი ჯაბად ბეგი ხიმშიაშვილი ხელმძღვანელობს ამ საქმესაო. სმა რასაკვირველია სმათ დარჩა და გურიაში არც არავინ მოელოდა ასეთ საქციელს აჭარლების მხრივ, რადგანაც მათ შორის ნამდვილი მეზობლურ-მეგობრული განწყობილება დიდი ხანია რაც არსებობს.

ეხლა, როგორც შევიტყეთ, გლეხთა მოძრაობას აჭარაშიაც უჭერია თავი, რაც რასაკვირველია ერთი ორათ განმტკიცებს გურულ-აჭარელთა კავშირს. მთავრობის სახალახოზე (აჭარა-გურიის მთებში იმოფოება) შეკრებილან აჭარლები და სახალახოს პატრონისათვის მოთხოვნილებები წარუდგენიათ. ადგილის პატრონებს სრულიათ დაუკმაყოფილებიათ აჭარლების მოთხოვნილება. სახელდობრ: თითო სულს ძროხასა თუ ხარში სახალახოს თვსს დღემდი ბანზს იხდიდენ. ახლა კი ბანზი ორ შაურზე ჩამოუყვანიათ. ხბოები და წვრილი საქონელი სულ უფასოთ, წინათ კი თითო შაურს ახდევინებდენ სულზე. აგრეთვე სრულიათ მოუსპიათ თითო მანეთი ქოხის ფული. კრებას კარგა ბღობა სდომია და ყველანი დფერთოვნებული წასულან თვ-თავის ბინაზე.

ამის შემდეგ ისეთივე კრება მომხდარა ხაინოს მთაზე. ამ კრებას ჭკვანდი გლეხებიც დასწრებია. აქაც აჭარლებმა სახალახოს შესახებ მოთხოვნილებანი წარმოადგინეს და კიდევაც დაკმაყოფილებულ იქნენ. ძროხის სახალახო თვსი სამი შაურიდან ერთ შაურამდე ჩამოიყვანეს. თხისა და ცხვრის კი შაურიდან სამ კაპეიკამდე. ეს სახალახო მთა სასოგადოთ არ არის ნაქები და ამიტომაც ისე მცირე ფასი იყო.

რამოდენიმე კრება მოხდა აგრეთვე ბახმარის ველებზე. როგორც მაითხველებს მოეხსენებათ, ბახმარო სასიამოვნოთ ადგილია გურიაში და იქაც აკარაკის მახლობლათ არის რამოდენიმე სასიამოვნოთ სოფელი აჭარლებისა. მოსახარკე ბერები ხალხმა ყველგან ალტაცებით მიიღო. ბატარა ბავშვებიც სულ ამას გაიძახოდენ: გაუმარჯოს თავისუფლებას და ერთობასაო.

ბახმარის ველები კარგ სახალახოებათ ითვლება. ძროხასა და ხარზე ექვსი შაური კადასახადი იყო, რაიც სამ შაურზე ჩამოიყვანეს. ცხენში ორ ბანზს იხდიდენ და ახლა კი მხოლოთ ბანზს: აგრეთვე დაუკლეს წვრილ ფეხა საქონლის გიდასახადსაც.

დასასრულ აჭარლებმა გამოსთქვეს სურვილი გურულებთან ერთათ საერთო კრების მოხდენისა. ეს მათი კანონიერი სურვილი სასრულეში მოიყვანეს მთაგინურის (ანუ გომის) სახალახოზე. აქ თავი

მოიყარა მრავალმა გურულ-აჭარელმა და ერთმანეთს ფიცი მისცეს წყირსა და დხინში მეგობრობაზე.

ეს ამბავი მოედო მთელს აჭარას და ერთობის ამრდელი ძალს უფრთხობს ზოგიერთ ვაჭ-ბატონებს.

ერთ აქაურ ბეგს, სახელდობრ ჯამალ ბეგ ხიმშიაშვილს მოუწვია თავისთან რამოდენიმე კაცი და გამოეცხადებია: შვიდ-შვიდი მანეთი მოატანეთ და თოფებს დაგირიგებთო. ამასთანავე წელწერილის ჩამორთმევა მოინდომა თოფის მიდებაში. (სწენებული ჯამალი სტრაჟების უფროსია) თოფებს იმიტომ გირიგებთ, რომ შეკვეთილში ოთხასი სომეხი მოსულა და ისინი გურულებთან ერთად თავზე დაგვმხვდა და ამოგლეჯას გვიპირობენო. გლეხებს ვარი უთქვამთ თოფების ყიდვაზე და წელ-წერილის დადებაზე: ტეყილა თუ მოგვცემთ წავიდებთ და რაკორც გვინდა ისე მოვიხმართოო.

ამავე ჯამალ-ბეგთან ამეოფება გურიიდან გადახვეწილი ესეკია ნაკაშიძე, რომელსაც მთელმა მიქელ-გაბრიელის სახოგადოებამ ბოიკოტი გამოუცხადა.

აი ასეთია აჭარლების ბირვედი ნაბიჯი და ვნახოთ შემდეგში რა იქნება. სასიამოვნოა, რომ ხელოვნურათ დათესილი მტრობა ნიადაგს ვერა ჰპოულობს ხალხში და ნაყოფს ასეთი სიმარცხვინო მოქმედებისას უმეტეს ნაწილათ მთესველნი იგემებენ ხოლმე. ამედიან ამ დღიდან აჭარა-გურიას შორის უფრო მჭიდრო კავშირი დამყარდება და საერთო საქმეს საერთო ძალ-დონით მოჰკიდებენ ხელს.

ბებერი ძია

—

ახალქალაქი, (გორის მაზრა). როგორც მოსალოდნელი იყო, მკის დაწყებისთანავე დაიწყო „კონფლიკტის“ ხანაც გლეხთა და „ბრწყინვალე“ წოდებათა შორის. დამოკიდებულებამ მწვავე ხასიათი მიიღო. 15 ივლისს ს. ახალქალაქის და მის ახლო-მახლო მდებარე სოფლების ნახტის და ახალტიხის მცხოვრებლებმა წარუდგინეს შემამულე თარხნიშვილებს და მადალაშვილებს მოთხოვნილება: დაეთმოთ მათთვის წრეგანდელი მოსავალი სამუდამოთ.—კნიაზებს რა თქმა უნდა არ ესიამოვნათ ასეთი თავხედობა და ცივი გარი სტაცეს. ამაზე გლეხებმა შემამულეებს ბოიკოტი გამოუცხადეს: ჩამოართვეს მოსამსახურეები და შესწყვიტეს მათთან ყოველგვარი კავშირი. ერთ შვენიერ დღეს მათი ბრწყინვალებანი დარჩენ ღვთის ანაბარათ. მოგეხსენებათ რა ძნელი უნდა იყოს დაბადებიდანვე ბატონობა-ბრძანებლობას შეჩვეული ადამიანისთვის უცებ უბრალო მოკვდავთა დონეზე დაწევა. რას იზამ, ასე წარმოვლია კაცთა დიდება!

მაგრამ ჯერ ჯერობით კნიაზები გულს არ იტეხენ და დაუდალავთ უმტკიცებენ თავის „უმცროს ძმებს“, რომ მომავალში „კეთილშობილნი“ გაიმარჯვებენო, რაც უნდა ქნათ, ეს კი იცოდეთ აქვემი ისე არ დამცირდება, ვიდრე მეტი არ ატარონო“ ორატორობდა გლეხებში ერთი წერილოვანი ახალგაზრდაგანი. შესანიშნავია, რომ ყველგან შემამულეების და სახოგადოთ თავად-აზნაურთა ბრიგედეგების დამცველთ უმეტესათ ისეთი აზნაურები გამოდიან, რომელთა „მამულები“ გენესი არ იყვეს: ავადრში წადს რომ მოედოს კაცი გერც კი იგრძნობს.

ბოიკოტისა გამო, გლეხებმა უკვეთეს თავად-აზნაურობას მუშა, რამაც დიდ გაჭირვებაში ჩააგდო შემამულეები. მკა კარგად მომდგარია, მოსავალი იდუბება, ბატრონი კი არ არის. რადგან ადგილობრივ მუშის შოვნა ვერ მოახერხეს, შემამულეებმა გაიძრახეს დაექირავებინათ კრუები—17 ივლისს თ. გრიგოლ ორბელის ძე თარხნიშვილმა რამდენიმე კრუა დაიყენა თავის უანაში სამუშაოთ და მათ დასაცველათ მიუხინა სამი სტრაჟნიკი ურიადნიკის უფროსობით. რადგანაც სოფლებიდან არავინ ჩანდა, დარაჯები მინდორში გასულან და დაუნახავთ მომუშავე ს. ახალტიხის მცხოვრები სომხის ბრძანის ძე სვანიშვილი და მასთან რამდენიმე ქალი. მისულან მათთან და მოუნდომებიათ ქალების გაუბატიურება. სომხის სტრაჟნიკმა (სულ ბავშვია) უთხოვნია თავი დაენებებინათ ქალებისთვის, დარაჯებს კი საშინლათ უტყმიათ მისთვის. ექიმების სიტყვით ბავშვის მდგომარეობა საშიშია. უველა ზემო ნათქვამი შემოწმებულია ადგილობრივ ზოლიციის მიერ. რადგანაც ახალტიხელების, ნახტელების და ახალქალაქელების გაუგიათ დარაჯების ნამოქმედარი, ახლომახლო მათ აუგრძალავთ კრუებისთვის მუშაობა და გამოსდგომიან კეტებით დარაჯებს. უკანასკნელნი რომ ს. ახალქალაქში ჩამოსულან აქ დახვედრიათ შეკრებილი ხალხი, რომელიც თურმე საშინლათ აღელვებული ყოფილა. ამიტომ დარაჯებს რამდენჯერმე დაუტყიათ თოფები ჰაერში, გაურდევინათ მოზდვევებული ხალხი და მოუქუსლიათ გორისკენ. იმდენათ ყოფილა ხალხი გაბრაზებული, რომ მთელი ახალქალაქი და სხვა სოფლებიც უკან გამოსდგომია, ასე გაშინჯეთ ქალები კი, მაგრამ მალე და დროზე უშველიათ თავისთვის.

6—7 საათის შემდეგ ს. ახალქალაქში საჭიროთ ჩაუყენეს 70 უფახი და 66 სალდათი, ხოლო მათი შენახვა კი დაუკისრეს ზემოხსენებულ სამ სოფელს. დღეში ამოდენა ხალხის შენახვა თურმე 120 მანეთი უჯდებათ.

სალდათებს ჩვეულებრივ რიგიანათ უჭირავთ თავი.

უფახების მოსვლის შემდეგ, კნიაზებს ცოტა არ იყვეს გულზედ მოეშვათ, იმედი მიეცათ „დაკარგული სამოთხის“ დაბრუნებისა და ტეტიების მოჭკვიანებისა. რუსული ანდაზისა არ იყვეს, წინდაწინვე გერ ვიტყვი დაბეჯითებით რამდენათ მართალი გამოდგება მათი იმედი, ხოლო ეს ნამდვილია, რომ კნიაზები ძალსა-დონეს არ დაიშურებენ თავიანთ საწადელის მისაღწევათ, მით უმეტეს რომ ზოგიერთა მათგანი ცოტათ თუ ბევრათ დახელოვნებულნი არიან ადმინისტრაციის დახმარებაში. აი მაგ. თ. ესტატე დუკას ძე თარხნიშვილს დადი ხანია ფრთათა ქვეშე თვისთა მიუკედლებია ჰოლიციური ,,სისკი“. იგი როგორც მომრიგებელ შუამავლის ,,ბისეტი“ რანგის მქონებელი, თავის უწმიდესს მოვალეობათა სთვლის გამოიკვლიოს ვინ იღებს ბასპორტებს და ვინ არა; მანვე უბრძანა ადგილობრივ სადარაჯოს ურიადნიკს გაეგზავნა ბ-ნი გ. ხუციშვილი იმის გასაგებათ, აქვს თუ არა უკანასკნელს ბასპორტი. მაგრამ ურიადნიკი იმდენათ დაიბერდა გამოდგა, რომ მისი ბრძანება არ ასრულდა.

21 ივლისს ს. ახალქალაქის ,,ინციდენტის“ გამოსაკვლევათ მოვიდა მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი ბოქაულად გოგოხია. ჯერ ხალხს მიმართა და ის აზრი გამოსთქვა, რომ გლეხების მოქმედება ყოვლად შეუსაბამოა და თავის სიტუტუცით ზოგიერთა ცხოველების მოქმედებას ძალიერ ჩამოუვარდებაო. აი მაგ. ცხენებს რომ მგელი დაეცემა, ერთათ შეიერებიან და ისე მოიგერებენ ხოლმეო. გლეხები კი სულ სხვანაირათ იქცევითო. დამსწრე გლეხებმა სჩივარი განაცხადეს დარაჯებზე და უაზახებზე. ბ-ნ გოგოხიამ დაარიგა ხალხი და უთხრა სულ ,,ბუნტოვშიკებში“ ამდევრეენ წელს და მიეშველეთ რამე მათ ასაღაგმავოთო. შემდეგში სთხოვეს ჯარი მოეშორებინა, მაგრამ ბ-ნ გოგოხიამ უთხრა თუ მემამულეებს შეურიგდებითო წავიეენ, თუ არა და აქ იქნებაო. მემამულეების მხრივ იღაპარაკა თ. გიორგი თარხნიშვილმა და წინადადება მისცა გლეხებს: ამოარჩიეთ წარმომადგენლები და მოვილაპარაკოთო. ჯერ გლეხებმა უარი უთხრეს, ჩვენი მოთხოვნილება კარგათ იცით და რაღა წარმომადგენლები გინდათო. შემდეგ კი ამოარჩიეს, მაგრამ როგორც ისმის იგინი მემამულეებთან ვერ შეთანხმებულან.

დ, ზოილი.

რუსეთის ქრონიკა.

როგორც ვიცით უბნის ზედამხედველი კოვოლინის მკვლელს, მუშა ვასილიევს, სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა. სასამართლოს განჩინება დამნაშავის დამცველ ნაფიც

ვექილს ადამოვს სამხედრო სასამართლოში განუსაჩივრებია და ამ მოკლე ხანში საქმეს ხელმეორეთ განიხილავენ. ამასთანავე სასჯელის პატიების შესახებ ვექილს თხოვნა მიუცია ხელმწიფე იმპერატორისათვის.

(რ. ვედ.)

—

სად. სედლეცში პრივისლანის რკინის გზაზე 16 ივლისს ჟანდარმის ვახმისტრს მიხაილოვსკის ვიღაცამ რამდენჯერმე ზედიზედ რევოლვერი ესროლა და მოკლა. მკვლელი მიიმალა.

(რუს. ვედომ.)

—

18 ივლისს პეტრეპავლოვის ციხეში, არა ჩვეულებრივათ მორთულ ციხის ერთ ოთახში, დროებით სამხედრო მოსამართლეებმა გაარჩიეს საქმე უცნობი პარისა, რომელმაც 30 ივნისს გაჩხრეკის დროს განიზრახა ბოქაულის თანაშემწის სტრახოვიჩის და „დეორნიკის“ ვასილიევის მოკვლა. საქმის გარჩევა დაიწყეს დილის თერთმეტ საათზე და გასტანა საღამოს ექვსის ნახევრამდე. ამ საქმის გამო მოწვეული იყო ათი მოწმე და მათ შორის თავშეხვეული უმაღლეს სასწავლებელ დამთავრებული სტრახოვიჩი. დამნაშავემ, ქ. ოდესის მცხოვრები ხაიმ გერშკოვიჩმა აღიარა თავი. შეხედულებით გერშკოვიჩი თექვსმეტი წლისაა. დამნაშავის წლოვანების აღსადგენათ მოსამართლეებს ექიმისთვის არ მიუმართავთ. გერშკოვიჩს საქმის გასაჩივრება სურს.

(რუსი.)

—

20 ივლისს პუტილოვის ზავოდის მუშებს ნება დართული ქონდათ, რომელსაც მრავალი ჯარის კაცები იცავდა.

(გაზ. რუსი)

—

„რიჟ. ვედ.“ მიტავიდან არის დაბეჭდილი შემდეგი ამბავი: პოლიციას ბოქაული დეტლოვსკი ამ დღეებში დასაჭერათ უკან გამოუდგა ორ უცნობ პირს და ზედიზედ ორჯერ ესროლა. ეს პირები პოლიციელის აზრით პოლიტიკური დამნაშავეები იყვენ და ეუვიც ქონდა ვითომც ამ პირებს ფაბრიკანტი კრამერის „იზვოშჩიკი“ მოეკლას. ცელქმა ტყვიამ ერთი გაქცეულთაგანი მოკლა, რომელიც ალმოჩდა ზემოთ დასახელებული ფაბრიკის მუშა. მოკლული მუშა 8 ივლისს შუადღეზე დაასაფლავეს და ცხედარს მრავალი მუშა გაყვა. მუშებმა წითელი დროშა ააფრიალეს და მუშური სიმღერით ამხანაგი საფლავის კარამდის მიაცილეს, სადაც ბევრი გრძნობით სავსე სიტყვები წარმოსთქვეს, შემდეგ წუნარათ დაიშალენ.

(რ. ვ.)

—

ლოძში და ვარშავაში პოლიციელებმა საბსახურზე უარი განაცხადეს. ამის მიზეზათ ასახელებენ იმას, რომ პოლონეთში პოლიციელებს შეუბრალებლათ ხოცვენ.

(სინ. ოტ.)

—

21 ივლისს პოლიციის მოხელემ ლოძში ვიღაც უცნობი დაატყვევა და პოლიციაში წაიყვანა. გზაში დაჭერილმა რევოლვერით პოლიციელი მოკლა და მიიმალა.

(რ. ს.)

—

ვილნოს პოლკის სალდათს გოჩელდობერს სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაწყვიტა. ამ სალდათს ეღებოდა ფეოდოსიაში აღეულობის დროს პოლკის უფროსის მოკვლის განძრახვა.

(რ. ს.)

—

ლიფლიანდიის რკინის გზაზე სიმთვრალის წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოების წევრებმა მატარებელში არაკით დატვირთული ვაგონი მოხსნეს, ცეცხლი წაუკიდეს და დაწვეს.

(რ. ვ.)

—

ამ რამდენიმე ხნის წინეთ ხერსონის ერთ ბატალიონში არეულობა მოხდა. ამ არეულობის გამო სამხედრო სამართალში 9 სალდათი მისცეს. ეს საქმე სასამართლომ გაარჩია და ყველა დამნაშავეთ იცნო; 5-ს მათგანს ჩამოხრჩობა მიუსაჯა, ერთს 7 წლის კატორღა, 2 ს ხუთი წლით და ერთს—4 წლით.

(ნ. ჟ.)

—

ჟურნალ «იურისტის» 328 №-ში მოყვანილია გაზ. «N. Fr. Pr. კორესპოდენტის შემდეგი სიტყვები „პატიომნიკის“ შესახებ:

„მე საუბარი მქონდა—ამბობს კორესპოდენტი—„პატიომკინზე» მყოფ სამ პირთან, რომლებიც აჯანყების მეთაურები იყვენ. რადგანაც ეს მათთვის საშიში არის, ამათ გვარს არ ვაცხადებ, მხოლოთ აღვნიშნავ ინიციალებით „მ.“ და „ძ.“.

როცა „პატიომკინზე“ ავედი—სწერს კორესპოდენტი, იქ შევხვდი ჩემ ნაცნობ ექიმ რატკოვსკის, რომელმაც სიამოვნებით გამაცნო იქვე მყოფი ახალგაზდა „ძ“. ის ძლიერ დაღონებულ-დაფიქრებული იყო და ჭერს მისჩერებოდა, რომელსაც ჯერ კიდევ ნატყვიარი აჩნდა. ძ. 20,000 ოდესის მუშების წარმომადგენელი იყო. ის მუშების სახელით „პატიომკინზე“ მოვიდა და მიზნათ ქონდა აჯანყებულებში ორგანიზაციის მოწყობა.

გემის ერთ განყოფილებაში იპოვა ფერმკრთალი ახალგაზდა კაცი, რომელსაც ცოტათი ფრანკულათ ლაპარაკი შეეძლო. ეს კაცი ტეხნიკია და მეორე ხელმძღვანელათ იყო ჯავშნოსანზე. წინეთ კი ის ეკუთვნოდა ჯავშნოსანის ოფიცრებს.

ეს ორი და კიდევ მესამე მ. მივიპატიენ სასტუმროში და რაკოვსკის შემწეობით გამოვკითხე ამბები. შეიძლება, სამწუხაროთ, ბევრი რამ საინტერესო დაიკარგა ნაამბობიდან, ვინაიდგან ძ. მარტო რუსული ლაპარაკი იცის, მაგრამ მე ჩემის მხრით, იმისთვის რაც რაკოვსკიმ გადმომცა, იოტის ოდენა არაფერი მომმატებია.

ჯავშნიან გემის „პატიომკინის“ ამბავი—დაიწყო ძ.—შემთხვევითი არაა. ჩვენ მატროსებს შორის დიდი ხანია ვმუშაობდით და შეგვიძლია დაჟეჯითებით ვსთქვათ, რომ „პატიომკინი“ სრულიად დემოკრატიული პროპაგანდის გავლენით სხვებზე წინ არ იდგა. ორი სხვა გემი, რომლის სახელს, ყველასათვის ადვილ გასაგები მიზეზების გამო, ჩვენ არ ვიტყვით, უფრო მომზადებული იყო და მეტი იმედიც გვქონდა. და თუ «პატიომკინმა» დაიწყო, ეს მხოლოთ შემთხვევით მოხდა. ეს გემი შავი ზღვის ფლოტში ყველაზე უფრო დიდი და სწრაფი მავალია. თუმცა და «პატიომკინზე» მატროსებში სოციალისტები იყო, მაგრამ ესენი უმცირესობას წარმოადგენდენ. გემზე აჯანყება შემთხვევით დაიწყო, მაგრამ ჩვენ გვსურდა გამოგვეცადა რა შედეგამდის მიაღწია გემზე პროპაგანდამ. «პატიომკინის» 800 მატროსიდან ორასი უსათუოთ მზათ იყო თავის თავი მსხვერპლათ შეეწირათ, 200-კი რყევაში იყო და დანარჩენები ალმაცერათ უყურებდენ. აჯანყების პლანი შემდეგი იყო: „პატიომკინს“ კი არა, არამედ სხვა გემს უნდა ნიშანი მიეცა შავი ზღვის ყველა ფლოტის ასაჯანყებლათ, რომელსაც დანარჩენი შეუერთდებოდა. ყველა აფიცრები უნდა დაგვეჭირა, შეგვებაწრა, იარაღი აგვეყარა და გემიდან მოგვეშორებია. სწორეთ ამ დროს „პატიომკინზე“ საჭმლის უვარგისობის გამო უკმაყოფილება ჩამოვარდა, როგორც იცით უფროსი

აფიცრის საქციელმა ყველა გააშტერა, მატროსი ომელჩუკის საზიზღარმა მკვლელობამ გამოიწვია ის, რაც მოხდა. ამით მთელი პლანი შეთქმულობისა დაირღვა და მთელი საქმე ყირამალა დადგა, ასე რომ ამ ჟამად ჩვენ დავმარცხდით...

აფიცრების ამოჟლეტა არა მარტო ოდესაში და სევასტოპოლში მოხდა, არამედ ოდესის ახლოს ტენდრაში. როცა ოდესას მიუახლოვდით მთელი ქალაქი აღელვებული იყო. მუშებმა, რომლებსაც პროტესტით მივმართეთ შოგვაწოდა საყოფი სანოვაგე. ჩვენ ომელჩუკის გვამი ნაპირზე გავიტანეთ და ამით რევოლიუციური მოძრაობის ცეცხლი ავანთეთ.

რევოლიუციური მოძრაობა, რომ უფრო გაგვეღვივებია ჩვენ ჯავშნოსანზე წამოვიყვანეთ კ. და მასთან ერთად კიდევ ერთი ოდესის მუშების ორგანიზაციის წარმომადგენელი.

როცა ოდესაში უწესოება გაძლიერდა, სახელდობრ ოთხშაბათ დილით კრიგერის ესკადრა გამოჩნდა. იმ წამშივე ,,პატიომკინი'' საომრათ მოემზადა და კრიგერის შესახვედრათ წავიდა, რომელმაც შეტაკების ასაცილებლათ უკან დაიწია. უკუქცევის დროს ვიცე-ადმირალმა უმავთულო ტელეგრაფით იკითხა:

—რა გინდათ თქვენ ,,ეგვნებო? დიდათ მაოცებს თქვენი ასეთი ქცევა! მაცნობეთ რა გინდათ?

უმავთულო ტელეგრაფითვე პატიომკინმა უპასუხა: ,,ადმირალს შეუძლია ჩვენს გემზე მობრძანდეს''. ეს კი კრიგერმა უპასუხოთ დასტოვა. ნასადილევს ესკადრა ხელმეორეთ გამოჩნდა ნ ჯავშნიანი და რამდენიმე ნაღმოსანი გემით. ,,პატიომკინმა'' ღუზა აუშვა, საომრათ მომზადება იწყო და ცდა დაუწყო ესკადრიდან პირველ სროლას. ,,პატიომკინის'' პირდაპირ ესკადრა ისე ახლოს დადგა; რომ მატროსები ერთმანეთს ქუდების ქნევით ესალმებოდენ და თან ყვიროდენ ,,ურა პატიომკინს''. ბოლოს არაფერი არ გაუკეთებიათ ისე გაგვშორდენ. ეს აიხსნება მხოლოთ იმით, რომ კრიგერს პრძანება ქონდა ჩვენი დამშვიდების, ან შეშინების და ისე წყნარათ შეერთების. ეს ჩვენ ,,გიორგი პობედონოსეციდან'' გავიგეთ, რომელიც შემდეგ შემოგვიერთდა.

როცა კრიგერის ესკადრა ნავთსადგურს გაშორდა, ჩვენ შევამჩნიეთ, რომ ,,გიორგი პობედონოსეცი'' ნავთსადგურში დარჩა. ჩვენ მას ნიშანი მივეცით, რაზედაც გვიპასუხა, რომ გაგვეგზავნა წარმომადგენელი შესათანხმებლათ. ორი ჩვენგანი მოსალაპარაკებლათ წავიდა. ჩვენ იქ ყველა გამოურკვეველ მდგომარეობაში დაგვხვდა. კ. სიტყვით მიმართა და უმტკიცებდა, რომ თავისუფალი რუსეთი აღსდგა და ჩვენც მოვალე ვართ თავისუფალი სამშობლო დავაცვათ. აფიცრები გვეწინამძღვებოდენ, მარა არავინ მათ ყურს არ უგდებდა. ყველა იქ მყოფზე სიტყვამ დიდი გავლენა იქონია და შემოერთების სურვილი განაკუთვნა.

ამის შემდეგ აფიცრებს მივმართე და უთხარი, რომ მათი ბატონობა გათავდა. ისინი დაიჭირეს შეთოკეს და გემიდან გადმოსვეს. მთელი გემის კამანდა ამ დროს იქ იყო და ,,პატიომკინს'' აღფრთოვანებული სამხედრო პატივს სცემდა; მატროსები „ურას“ გაყვიროდენ, ქუდებს იქნევდენ და ოდესის ნაპირზე ბრბო აღტაცებულათ ეგებებოდა ორი საძხედრო გემის განთავისუფლებას.

ორი წარმომადგენელი „პატიომკინზე“ მობრუნდა, მაგრამ ჩვენის მხრით დიდი შეცდომა იყო უნტერ-ოფიცრების და ლოცმანების გემზე დატოვება. იმათ გემზე მყოფნი ისე შეაშინეს, რომ მეორე დღეს მათთან ყოველად შეუძლებელი იყო საქმის დაჭერა. «პობედონოსეცზე» ორი პარტია შეიქნა: ერთ მათგანს სევასტოპოლში წასვლა უნდოდა, იქ მყოფ გემებთან მოლაპარაკება და შავი ზღვის ფლოტში საზოგადო აღელვების გამოწვევა; მეორე, მოღალატე, პარტიასაც სევასტოპოლში წასვლა უნდოდა, მაგრამ ფიქრობდა დაბრკოლებას.

იმ დროს, როცა წარმომადგენლები «პატიომკინს» ეწვნენ ხლოვდენ «პობედონოსეცზე» წასასვლელი ნიშანი მისცეს. «პატიომკინზე'' გადაწყვიტეს, რომ მიმავალი გემი დარჩეს თავის ალაგზე. ან ნავთსადგურში შევიდესო, მაგრამ ,,პობედონოსეცმა'' ამას არავითარი ყურადღება არ მიაქცია. ამ დროს „პატიომკინზე“ საომრათ მოემზადენ, რამაც დიდი გავლენა იქონია ,,პობედონოსეცზე'' და ნავთსადგურში მოაბრუნა.

ჩვენ უკვე ნათლათ დავინახეთ ჩვენი პლანის დარღვევა და ,,პატომკინმა'' ღუზის აშვების შემდეგ ოდესა მიატოვა. გადაწყვეტილი გვქონდა, რომ აჯანყების მისწრაფებაზე უარი არ გვეთქვა, მაგრამ უპირველეს ყოვლისა ნახშირს, სანოვაგეს და ცნობას ვსაჭიროებდით, ვინაიდან გვესმოდა, რომ სევასტოპოლში მთელი ფლოტი აჯანყდა.

ჩვენ წავედით კონსტანში, სადაც უარი გვითხრეს არა მარტო სასმელ-საჭმელზე, არამედ ცნობებზედაც. ჩვენ ვიკვებებოდით მარტოთ ჩაით და ,,სუხარით''. დავინახეთ რა რომ კონსტანში ვერაფერს ვიშოვიდით, ფეოდოსიისაკენ გავემგზავრეთ.

ოთხშაბათს, დილით ადრე ჩვენ ფეოდოსიის ნავთსადგურში მივედით — აფრიალებული წითელი დროშით, რაზედაც ეწერა: ,,თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა! გაუმარჯოს დემოკრატიას!''

კ. წავიდა ქალაქში; ბევრი სიტყვები წარმოსთქვა, ქალაქის მკვიდრთ და ხმოსნებს სთხოვა, რომ გემისთვის სანოვაგე მიეცათ. ოთხი ხარი, პური და სხვა რამ ნავით ,,პატიომკინზე'' მოიტანეს, მაგრამ დანარჩენი სანოვაგის გამოტანას ჯარმა ხელი შეუშალა. ამ დროს ,,პატიომკინი'' ქალაქს დაემუქრა. უკეთუ ოთხი საათის განმავლობაში სანოვაგე არ გვექნება ყუმბარებს გესვრითო.

დილის 7 საათამდის ვერავითარი პასუხი ვერ მივიღეთ. მაშინ რამდენიმე მატროსები ნავებით ნაპირს მიუახლოვდენ. მოულოდნელათ ორი სოტნა ყაზახები გამოჩნდა და ჩქიფთეთ მატროსებს თოფები ესროლეს, რითაც მოკლულ იქნა ექვსი კაცი.

რა უნდა გვექნა? ღირდა თუ არა, რომ ქალაქისთვის ყუმბარები გვესროლა? ეს დიდი დანაშაული იქნებოდა. ჩვენ მისთვის კი არ აგვიფრიალებია წითელი დროშა, რომ უდანაშაულო ხალხი გაგვეჟლიტა. ჩვენ ასე ვერ მოვიქცეოდით და ავაზაკებიც არა ვართ. მაგრამ ვიწვევთ პოლიტიკურ მოძრაობას და მსხვერპლათ უდანაშაულო ხალხს არ ვწირავთ.

ჩვენ უკან კონსტანში დავბრუნდით, ვინაიდან ცნობა მოგვივიდა. რომ ვითომც იქ მყოფი ორი გემი აჯანყებულიყოს. მათთან გვინდოდა შეერთება და რევოლიუციური საქმის გაგრძელება. მაგრამ კონსტანში ჩვენ გემები ვერ ვნახეთ და უბრალოთ დაიმედებულნი ინგლისის კონსულზე, რომ ის მხარს დაგვიჭერს. ამასთანავე არ გვქონდა არა თუ სანოვაგე, არამედ ნახშირიც და თანვე ძლიერ დაღლილ-დაქანცულნიც ვიყავით და იძულებული შევიქენით, რომ დავნებებოდით, რაც რასაკვირველია წინეთ აზრათ არ გვქონია.

— როგორ ფიქრობთ ეხლა?

— ჩვენ ბრძოლას არ შევწყვეტთ. ადრე თუ გვიან ჩვენს მოვალეობას შევასრულებთ. როცა რუსეთი თავისუფალი იქნება,—და ჩვენ იმედი გვაქვს ეს ადრე მოხდება,—ჩვენ უკანვე სამშობლოში დავბრუნდებით. ჯერ ჯეროვნით ჩვენ თავს ვგრძნობთ თავისუფალ ქვეყანაში, რომელმაც გულ გახსნილათ

მიგვიღო. ჩვენ ვხედავთ მეგობრებს, რომლებიც ხელს გვიწვდიან და გვესმის სიტყვები, რომლებიც გულის სიღრმემდის გვეწვეთება.

— „C'est une affaise manquée"—დასკვნა ტეხნიკმა ძ., რომელიც ყოველ წიმს ასწორებდა თუ უმატებდა ამხანაგის ნაამბობს.

ყველაზე უფრო ყუჩი და წყნარი მ., რომელიც დაფიქრებულათ შორს იყურებოდა, ახდენს შთაბეჭდილებას „საქმიანი" კაცისას.

ჩვენ მატარებლის წასვლამდის დიდი დრო არ დაგვრჩა ყველა ისინი უნდა წასულიყო და გამომშვიდობების დროს ძ. აიღო თავისი ხმალი, რომელიც ჯავშნოსნიდან წამოეღო და ერთ ჩვენგანს სახსოვრათ აჩუქა, შემდეგ აიღო საუცხოვოთ გაწყობილი ხანჯალი და მეორეს უადასცა და ბოლოს აფიცრის ეპოლეტებიც ზედ დაუმატა. ყველას რაღაცა უთავაზა სამახსოვროთ. დღეიდან ის ოფიცერი აღარ არის.

ბურჟუა და პროლეტარი**)

(თარგმანი)

პროლეტარი და კომუნისტები.

რა დამოკიდებულება აქვთ კომუნისტებს პროლეტარებთან საზოგადოთ?

კომუნისტები, რაიმე განსაკუთრებულ, სხვა მუშათა პარტიების მოწინააღმდეგე პარტიას არ წარმოადგენენ.

მათ არა აქვთ ისეთი ინტერესები, რომელიც მთელ პროლეტარიატის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს.

ისინი არ ხელმძღვანელობენ რაიმე განსაკუთრებული პრინციპით, რომლის თანახმათ პროლეტარიატის მოძრაობის ჩამოყალიბება სურდეთ.

სხვა მუშათა პარტიებისაგან კომუნისტები განირჩევიან ერთი მხრით იმით, რომ, სხვა და სხვა ერთა პროლეტარების მოძრაობაში ისინი ყურადღებას აქცევენ და იცავენ მთელ პროლეტარიატის საზოგადო ინტერესებს განურჩეველათ ეროვნებისა, მეორე მხრით განსხვავდებიან იმითი, რომ ისინი ამა თუ იმ განვითარების საფეხურზე, როცა კი პროლეტართა და ბურჟუაზიას შორის ბრძოლაა გამწვავებული, მოძრაობის საზოგადო ინტერესებს ყოველთვის მთლიანათ იცავენ.

ამ ნაირათ, კომუნისტები, პრაქტიკულათ, ყველა ქვეყნის მუშათა პარტიაზე უფრო გაბედულს და პროგრესიულ ნაწილს წარმოადგენენ, ხოლო თეორეტიულათ, სხვა დანარჩენ პროლეტარიატთან შედარებით ის უპირატესობა აქვთ, რომ მუშათა მოძრაობის პირობები, მიმდინარეობა და შედეგები შეგნებული აქვთ. ახლობელი მიზანი კომუნისტებისა იგივეა, რაც სხვა მუშათა პარტიებისა: მუშათა კლასის ორგანიზაცია, ბურჟუაზიის ბატონობის დამხობა და პროლეტარიატისთვის პოლიტიკური უფლებების მოპოვება.

კომუნისტთა თეორეტიული მსჯელობა არავითარ შემთხვევაში არა მყარდება იმ იდეებზე და პრინციპზე, რომელნიც ამა თუ იმ მსოფლიო რეფორმატორისაგან არიან აღმოჩენილნი და დაკანონებულნი.

ეს მსჯელობა და მოსაზრება თანამედროვე დამოკიდებულებას—არსებულ ისტორიული მოძრაობის, კლასთა ბრძოლის საზოგადო გამოხატულებას წარმოადგენს.

ქონებრივი დამოკიდებულების ძველი ფორმების მოსპობა კომუნისტების განსაკუთრებულ თვისებას და მისწრაფებას არ შეადგენს.

ქონებრივი დამოკიდებულება ყოველთვის ისტორიულ ცვლილებას განიცდიდა, ყოველთვის სხვაფერებულდებოდა.

მაგალითათ, საფრანგეთის რევოლიუციამ ბურჟუაზიული საკუთრების სასარგებლოთ, ფეოდალური საკუთრების ფორმები მოსპო.

კომუნიზმის დამახასიათებელ თვისების საზოგადოთ საკუთრების მოსპობა კი არ შეადგენს, არამედ მოსპობა ბურჟუაზიული საკუთრებისა.

მაგრამ თანამედროვე ბურჟუაზიული კერძო საკუთრება უკანასკნელი და სავსე გამოხატულებაა წარმოების და ნაწარმოების მითვისებისა, რომელიც დამყარებულია კლასთა განხეთქილებაზე, ერთისგან მეორის ექსპლოატაციაზე.

ამ მნიშვნელობით კომუნისტებს შეუძლიათ თვისი თეორია ამ ნაირათ გამოთქვან: კერძო საკუთრების მოსპობა.

კომუნისტებს გვისაყვედურებენ რომ ვითომ ჩვენ ინ კერძო საკუთრების, მოსპობა გვინდოდეს რომელიც პირადი შრომით არის მოპოვებული, საკუთრების, რომელიც პირადი თავისუფლების, თვით-მოქმედების და დამოუკიდებლობის საფუძველს წარმოადგენს.

პირადი შრომით შეძენილი საკუთრებაო! რომელ საკუთრებაზე ლაპარაკობთ თქვენ? თუ წვრილ ხელოსანთა და გლეხების საკუთრებაზე ლაპარაკობთ—იმის მოსპობა ჩვენ აღარ გვჭირდება, რადგანაც ის სხვილი წარმოების განვითარებამ უკვე მოსპო ან და დღითი დღე სპობს მას.

ან ეგება თანამედროვე ბურჟუაზიულ კერძო საკუთრებაზე ლაპარაკობთ?

ნუ თუ დაქირავებულ მუშათა შრომა, შრომა პროლეტარიატთა, მათ რაიმე საკუთრებას აძლევს? არასოდეს. მათი შრომით იქმნება მხოლოთ კაპიტალი, ე. ი. დაქირავებული შრომის მყვლეფავი საკუთრება, საკუთრება, რომელიც შეიძლება გაიზარდოს მხოლოთ მაშინ, როდესაც ის ქმნის ახალ დაქირავებულ შრომას რომ ის ხელახლა გაყვლიფოს.

თანამედროვე საკუთრება, დამყარებულია დაქირავებული შრომის და კაპიტალის წინააღმდეგობაზე. განვიხილოთ ამ წინააღმდეგობის ორივე მხარე.

წარმოებაში კაპიტალისტათ ყოფნა ნიშნავს არა მარტო პირადს, არამედ განსაზღვრულ საზოგადოებრივ მდგომარეობის დაკავებასაც. კაპიტალი საზოგადო შრომის ნაყოფია და შეიძლება საქმეში მოხმარებული იქმნას მხოლოთ მრავალ წევრთა ბოლოს კი, საზოგადოების ყველა წევრთა შეერთებული ძალით.

მაშასადამე კაპიტალი პირადი კი არა, საზოგადოებრივი ძალაა.

ამიტომ თუ კაპიტალი საზოგადოებრივ, ყველა მოქალაქეთა კუთვნილ საკუთრებათ გახდება, ეს არ იქნება კერძო საკუთრების საზოგადოებრივ საკუთრებათ გადაქცევა. გამოიცვლება მხოლოთ საკუთრების საზოგადო ხასიათი; ის დაკარგავს თავის კლასობრივ თვისებას.

გადავიდეთ ეხლა დაქირავებულ შრომაზე.

დაქირავებული შრომის საშუალო ფასს წარმოადგენს სამუშაო ქირის მინიმუმი, ე. ი. ცხოვრების საშუალებათა საერთო ჯამი. ესე ჯამი არ აღემატება იმ თანხას, რომელიც მუშის არსებობის, მისი სიცოცხლის შესარჩენათ არის საჭირო. ამ ნაირათ ის, რასაც მუშა თავის მოქმედებით იძენს, ძლივს ყოფნის თავის სიცოცხლის გასაგრძელებლათ.

ჩვენ სრულებითაც არა გვსურს მოვსპოთ შრომის ნაყოფის პირადი მითვისება, რაც აუცილებელი საჭიროა მუშის არსებობისთვის, მისი სიცოცხლისთვის; ეს მითვისება არ აძლევს

*) იხ. მოგზ. № 26

მას არავითარ შემოსავალს და სხვაზე ბატონობას. ჩვენ გვინდა მოვსპოთ ამ მითვისების ღატაკური ხასიათი, რომლის გამო მუშა არსებობს მხოლოთ მისთვის, რომ გააფართოვოს კაპიტალი და ცხოვრობს მანამდის, სანამ ეს გაბატონებული კლასების ინტერესებისთვის არის გამოსადეგი.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ცოცხალი შრომა წარმოადგენს მხოლოთ მოგროვილი შრომის გადიდების საშუალებას; კომუნისტურ საზოგადოებაში კი მოგროვილი შრომა არის მუშის ცხოვრების განვითარებული და გასაუმჯობესებელი საშუალება.

იმ ნაირათ, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში წარსული აწმყოზე ბატონობს, ხოლო კომუნისტებში—აწმყო წარსულზე. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კაპიტალს ინდივიდუალური და დამოუკიდებელი თვისება აქვს, მაშინ როდესაც მშრომელი ინდივიდი დამოკიდებულს და პირად ღირსების მოკლებულ არსებას წარმოადგენს.

აი ამ ნაირი დამოკიდებულების მოსპობას ბურჟუაზია ადამიანის პირადობის და თავისუფლების მოსპობას უძახის! და მართალიც არის! დიახ, ჩვენ, ბურჟუაზიულ პირადობის თვითმოქმედების, დამოუკიდებლობის და თავისუფლების მოსპობა გვინდა.

თანამედროვე წარმოების ბურჟუაზიულ პირობებში თავისუფლება—თავისუფალი ვაჭრობა, თავისუფალი ყიდვა გაყიდვა მიაჩნიათ.

ჩარჩობის მოსპობასთან, რასაკვირველია, თავისუფალი ჩარჩობაც მოისპობა. თავისუფალი ჩარჩობის დაცვას, როგორც სხვა ამ ნაირს უბედობას ბურჟუაზიისას, ვითომდა თავისუფლების დასაცველათ, აზრი და მნიშვნელობა აქვს მაშინ, როდესაც არა თავისუფალი ჩარჩობა და საშვალო საუკუნოების მოქალაქეთა დამოკიდებული მდგომარეობა აქვთ სახეში და არა მაშინ, როცა ჩარჩობის, წარმოების ბურჟუაზიული პირობების და თვით ბურჟუაზიის მოსპობა უნდა მოხდეს.

თქვენ შფოთავთ, რომ ჩვენ კერძო საკუთრების მოსპობა გვინდა, მაგრამ თანამედროვე, საზოგადოებაში, ეს საკუთრება მცხოვრებთა ცხრა მეათედისთვის უკვე მოსპობილია. დიახ, ეს კერძო საკუთრება სწორეთ იმიტომ არსებობს, რომ ის ცხრა მეათედისთვის არ არსებობს. მაშასადამე თქვენ გვიკიცინებთ და გვისაყვედურებთ იმას რომ, ჩვენ კერძო საკუთრების მოსპობა გვინდა, საკუთრების, რომელიც არსებობს მხოლოთ იმ მიზეზით, რომ საზოგადოების წევრთა დიდი უმრავლესობა მოკლებულია მას.

ერთი სიტყვით თქვენ გვისაყვედურებთ, რომ ჩვენ თქვენი საკუთრების მოსპობა გვინდა. დიახ, ჩვენ სწორეთ ეგა გვინდა.

იმ წამიდან, როცა შრომა უკვე აღარ გარდაიქმნება კაპიტალათ, ფულათ, მიწის რენტათ, მოკლეთ, საზოგადოებრივ ძალათ, რომელიც არავის მონოპოლიას აღარ წარმოადგენს, ე. ი. იმ წამიდან, როდესაც პირადი საკუთრება ბურჟუაზიულ საკუთრებათ აღარ გარდაიქმნება, აი სწორეთ ამ წამიდან, აცხადებთ თქვენ, ადამიანის პიროვნება მოისპობაო.

თქვენი აზრით ადამიანის პიროვნებას მხოლოთ ბურჟუაზიული საკუთრების მქონე ბურჟუა წარმოადგენს. ამ ნაირი პიროვნება მართლა რომ უნდა მოისპოს.

საზოგადო წარმოების, ნაყოფის მითვისებას კომუნიზმი არავის დაუშლის, ის მხოლოთ საშუალებას მოსპობს, რომ ამ მითვისებით სხვისი შრომა არ იყოს დამორჩილებული.

ამბობენ აგრეთვე, რომ კერძო საკუთრების მოსპობასთან ერთათ მოისპობა ყოველივე თვით-მოქმედება და დამყარდება საყოველთაო სიზარმაცე. ეს შიში რომ საფუძვლიანი იყოს, ბურჟუაზიული საზოგადოება, საყოველთაო სიზარმაცისა და უმოქმედობის გამო, კაი ხანია უნდა დარღვეულიყო; საქმე იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოების მშრომელი წევრები არაფერს არ იძენენ, ხოლო შემძენელნი—არა შრომობენ. ყველა ეს შიში ერთი და იმავე სიტყვის გაუთავებელი ლაპარაკი, ტავტოლოგიაა, რომელიც აღიარებს, რომ იქ, სადაც კაპიტალი არ იქნება, აღარც დაქირავებული შრომა იქნებაო.

ყველა იმას, რასაც კომუნისტურათ წარმოების და ნივთთა განაწილების წინააღმდეგ ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ აგრეთვე გონებრივ წარმოებაზე და ამ წარმოების ნაყოფთა განაწილებაზედაც.

როგორც ყერძო საკუთრების მოსპობა ბურჟუაზიას თვით წარმოების მოსპობათ მიაჩნია, ისე თანამედროვე კლასობრივი განათლების გაუქმება, მისი აზრით, ნიშნავს განათლების მოსპობას საზოგადოთ.

ის განათლება, რომლის დაკარგვას ბურჟუაზია ასე დასტირის, დიდი უმრავლესობისთვის მხოლოთ მანქანათ გადაქცევას წარმოადგენს და სხვას არაფერს.

მაგრამ ნუ გვეჯავებით. ბურჟუაზიული საკუთრების მოსპობას თქვენ აფასებთ თანახმათ თქვენი შეხედულებისა თავისუფლებაზე, განათლებაზე, სამართალზე და სხვ. თქვენი იდეები ნაყოფნი არიან წარმოების ბურჟუაზიული პირობებისა და განათლებისა ისე, როგორც თქვენი უფლება არის თქვენი კლასის დაკანონებული ნება, რომლის შინაარსი თქვენი კლასის არსებობის ნივთიერი პირობებით ისაზღვრება.

(შემდეგი იქნება).

ფელეტონის მაგიერი.

ისტორიული ნარკვევი.

მას ჟამსა შინა, ქვეყანასა ერთსა, რომელი იწოდების ესპანიათ, ცხოვრობდა რაინდი ვინმე უშიშარი და უებარი, სახელი მისი დონ-კიხოტ. არა ყოფილა სისულელე თვინიერ მისსა და არცა ივი თვინიერ სისულელისა. ებრძოდა ყრმაი იგი წისქვილსა ქარისასა, ლომსა გალიასა შიგან მწყვდეულსა; ებრძოდა ყოველთა არსთა ქვეყნისათა, ტაიჭსა თეთრსა ზედან მჯდომარე. ძლეულ-გემული მრავალ-გზის განაგრძობდა ის საქმესა თვისსა მეოხებითა თვისისა უგუნურებისათა.

და ახლდა მას კაცი ვინმე სასურველთა თვისთა მზიდავი, რომლისა სახელი სანჩო. და იყო სანჩო იგი ერთგული რაინდისა მის დონ-კიხოტისა, რომლისა თანა ვიდოდა, მარადის ვირსა მას დიდ-ყურა ვანსა ზედა მჯდომარე.

ჟამი იგი, ოდეს ცხოვრობდენ ესე მხედარნი უფსკრულსა შინა წარსულისასა, ჩაინთქა, ხოლო სახელი მათი ცოცხალ არს აწცა და იქნების მარადის უკუნითი უკუნისამდე.

ჟამსა მას ჩვენთა თანა არსსა ცხოვრობენ მხარესა ივერიისასა ჭაბუკნი სამნი, მომჭედელი საქმეთა დონ-კიხოტისათა. რაინდთა ამათ წარაცილეს საქმეთა თვისთა წინაპართასა და ნაცვლათ ბრძოლისა წისქვილთა თანა ქარისათა, ზრახვად განივლეს გაქრობა მზისა დადისა და დაბნელება სხივთა მისთა ცხოველმყოფელთა. ყრმასა მას დონ-კიხოტსა აროდოს მოსვლია აზრსა შინა თვისსა კადნიერება ესოდენ, ვითარითა აღიპურვენ დონ-კიხოტნი მამულისა ჩვენისანი.

და ავიდენ ძმანი იგი ფედერალიძენი მწვერვალსა მას მთისასა, რამეთუ მუნით ახლო არს მანათობელი იგი და მოიდრიკნეს მუხლნი მოლასა მწვანესა ზედა და დაუწყეს ბერვა ულისს თვისისა მნათობსა მას ცის წიაღში მოკაშკაშესა. და იხილა იგინი მუნ მგზავრამან გამვლელმან და ეგონა მდგომარე ლოკვათ და არა განზრახვითა ესდენ უგუნურითა და ილტვოდა მგზავრი იგი რწმენითა ამით.

და დაუსივდათ ძმათა მათ ფედერალიძეთა ბაგენი თვისნი საბერველნი ხოლო სიცხოველესა მზისა მათ ვერა რა ავნეს. და იყვნენ ისინი საცინელნი სანახავათა.

და ახლდა მათ სანჩო იგი, რომელსა ეწოდოს სახელათ ვასკ ლა გვარი მისი სტუდენტი. და არა იჯდა სანჩო იგი ვირსა ზედა, არამედ იყო მაგვარი მისი.

და დონ-კიხოტი ესე დროისა ჩვენისანი უკუ იქცენ მწვერალისა მისგან, რათა ჟამსა მომავალსა განაუგრძონ საქმენი თვისნი გაჭრობად მზისა მის მანათობელისა.

და ნეტარ არიან ისინი, რამეთუ საქციელი ესე ფრიად გონიერი ჰქონიათ.

—

ისე მრცხვენია, ისე მრცხვენია თითქო ტურაზე ვიჯდე და ქუჩაში დავიწანწალებდე, ვინაიდან ჩემი ცოდვილი პირით სამღვდელოების ამბავი უნდა ვიღაპარაკო! ეშმაკი და სამღვდელოება!!! აი, ერთის შეხედვით ორი მოწინააღმდეგე პარტია; მაგრამ რამდენათაც ახლო გაიცნობი ერთსაცა და მეორესაც, იმდენათ ერთ სულ და ერთ ხორც გეჩვენებიან ისინი.

დღეს მე მინდა ერთი სიტყვიერი კარიკატურა გიამბოთ, რამეთუ ქალალდზე ხატვითი უნარს, როგორც ადრე გამოვტყდი, მოკლებული ვარ. მღვდლების ბუნებას მე კარგათ ვიცნობ. ვიცნობ იმიტომ, რომ მარადის მე მდევნიან და მუდამ ჩემთა თანა არიან. კარიკატურა ესე იქნება ამგვარი:

მთვარიანი ღამე! გეთსამანიის ბაღში, ან თუ ამის წარმოდგენა ძნელია ქუთაისის ცნობილ ბულვარში, მწვანე მოლაზე გამოვხატავ დაჩოქილ მღვდლებს, (რიცხვი თორმეტი) რომელთაც თავზე ადგათ მჭადაგებელი ვინმე. მჭადაგებელი ესე პატარა ტანის კაცია, შტატსკურ ტანისამოსში კოპწიათ გამოწყობილი. შავ-შავი თვალები ცეცხლის ნაპერწკლებს აფრქვევენ და სიტყვა მისი მკაფიოთ გაისმის მთელს ბულვარში. გულზე დაკრეფილი ხელები პატარა, კუკუნია მუცელზე ჩამოუწყვია და დგას, როგორც ქანდაკება მარმარილოსი. დაჩოქილი მღვდლები ქუჩისაკენ იცქირებიან, სადაც ხალხი მიდი მოდის და ყაზახ-რუსთა სუნი ტრიალებს.

— უბადრუკნო! დაიწყო მამა იოანემ (მჭადაგებლის სახელია) და გაჩერდა. გზა დაკარგულხო ცხოვარნო უფლისანო!. განაგრძო მან; მე მებრალებით თქვენ... მე ვიტანჯები თქვენთა საქმეთა ხილვით! მაშ მისმინეთ ქრისტეს მიერ ძმანო ჩემნო! სიბრძნით აღემართენით და ისმინეთ ჩემი ქადაგება: ერთობა ყოველთა!—და სულისაცა შენისათანაო, ჩაიფურჩხულა ერთმა მღვდელმა, რომელიც ახლათ ხელ დასმული იყო და მთლათ არ დავიწყებოდა დიაკვნის მოვალეობა.

— თქვენ სრულიათ ჩამოშორდით ხალხს, განაგრძო მამა იოანემ. თქვენ წინ ეღობებით იმათ ინტერესებს.

— რამეთუ ინტერესები მაღი წინარე ეღობებიან ჩვენთა ინტერესთა-მოისმა ხმა დაჩოქილი მოძღვრისა.

— ხალხს უნდა სამღვდელოება ქრისტეს მცნების აღმსრულებელი.

— მოძღვართა უნდათ ხალხი დრამის ფულის კარგათ გამღებელი.

— ხალხს უნდა სამღვდელოება გაჭირვებულთა მფარველი!

— მოძღვართ სურთ ნათლა—ქელეხში ბეჭ-ხაჭაპური ცხელ-ცხელი.

— ხალხს უნდა სამღვდელოება მჭადაგებელი მართლისა!

— მღვდლებს კი სურთ ორ-ორი კოდი ქერის და პურის მარცვლისა.

— ხალხს უნდა სამღვდელოება ძალ-მომრეობის მტერია!

— მღვდლებისთვის ხარჯის გაღება სახარებაში სწერია!

პატარა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. მჭადაგებელმა თვალები ზეცათ აღეპყრო და ცალი ხელი მოპასუხე მოძღვრისთვის თავზე დაებჯინა, ოჰ, რა მშვენიერი, რა ზეციური სურათი იყო ეს სურათი! მთვარის შუქი შარავანდედივით ედგა მამა იოანეს და წმინდანის სახეს აძლევდა. ქუჩა თითქმის მიყუნარებულიყო და მყუდროებას აღარაფერი არღვევდა.

— მაშ ასე ქრისტეს მიერ ძმანო ჩემნო, განაგრძო იოანემ ნელის, მომხიბლელი ხმით. თქვენ ხალხს გვერდში ამოუდექით და მათთან ერთათ იბრძოლეთ უკეთესი მომავლისათვის. ხალხი უთქვენოთ ვერ გასძლებს, მხოლოთ კანი უნდა გამოიცვალოთ, განახლდეთ!

— რითი განვახლდე კეთილო მამაო, დაიწყო ერთმა მოხუცმა მოძღვარმა და მწარე ცრემლები გადმოჰყარა. რითი განვახლდე, როცა დრამის ფული მომისპეს, სამარხს თუმნის მაგიერ მენეთს ძლივს მაძლევენ, და ესეც არ იყოს მრევლში თითქმის არავინ კვდება; ნათლისა და ჯვარის წერის აღარაფერი შემოდის, საკურთხი და საწირაკი მოისპო! რითი განვახლდე პატიოსანო მოძღვარო, თორემ დიახაც მაქვს სურვილი ახალი ფარჩის ანაფორა შევიკერო. გვიშველე რაიმე მწყემსო კეთილო, გვიშველე მამაო სახიერო იოანე!

და ამ სიტყვებით მოხუცი მუხლებზე მოეხვია მჭადაგებელს.

— აღსდექ, აღსდექ საბრალოვ! ლმობიერებით წარმოსთქვა იოანემ და მღვდლებიც წამოიშალენ. ყველას მხიარული და გაბრწყინებული სახე ჰქონდა, რადგანაც იმედი მიეცათ ძველი დროის დაბრუნებისა. თითონ მჭადაგებელი კი ხარობდა ცთომილთა მათ გზასა კეთილსა ზედა დადგინებას. მე კი ვიცინოდი და ვიცინოდი!

ეშმაკი.

ოდიოდე სიტყვა კაპიტალის კონცენტრაციაზე.

საწყალი მარქსიზმი! დღიდან თავის მოკლინებისა, მას რისხვა და წყრომა არ მოჰკლებია. 1848 წლიდან მოყოლებული დღევანდლამდე ბურჟუაზულ-ეკონომისტების კრიტიკა ერთ საათსაც მოსვენებას არ აძლევს: ზოგი ასე ჩმუგნის, ზოგი ისე. მისეციან თავიანთ მეცნიერულ ბატარეებით და უშენენ ყუმბარებს მარქსიზმის დოქტრინებს დასანგრევათ. მაგრამ როგორც ვიცით ბურჟუაზულ ეკონომისტების ფუჭი ყუმბარები მარქსიზმს ოდნავათაც ზარალს ვერ აძლევენ: პირიქით, იგი ელექტრონულ სისწრაფით ვრცელდება ხალხში, ღრმა ფესვებს იდგამს მის აზროვნებაში. ეს ბურჟუაზული იდეოლოგები ერთთავათ, ერთნაირ არგუმენტებით, ერთ ჯურის ფაქტებით მარქსის ამა-თუ-იმ დოქტრინას «აკრიტიკებენ», მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ამათი საწინააღმდეგო მოსაზრებანი ლიტერატურაში ქრონოლოგიურათ სხვა და სხვა დროს გამომჟღავნებულა. კრიტიკის ორიგინალობა, რისამე ახალის თქმა, ახალი მოსაზრების გამოაშკარავება ეს მათ დავთარში არ უწერიათ. ათასჯერ ნათქვამის გამეორება, აი მათი კრიტიკის სალარო. ასეთივე მობერებულ და დახავსებულ არგუმენტებით იწყეს ჩვენშიაც მარქსიზმის საწინამდეგოთ ბრძოლა. ბევრს სწერენ ჟურნალ-გაზეთებში, ბევრსაც ლაპარაკობენ საგანგებო კრებებზე მეცნიერულ სოციალიზმის დასარღვევათ. ამ მოკლე ხანში მარქსის მთავარი ტეზისი კაპიტალის კონცენტრაცია ამოიღეს ნიშანში, რომელსაც უსირცხვილოთ ამახინჯებენ პროლეტარიატის თვალების ასახვევათ. აი, ამ საკითხზე გვსურს „მოგზაურის“ მკითხველს მოკლეთ ვესაუბროთ.

მარქსის მოძღვრება გვასწავლის, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ეკონომიური განვითარება მესაკუთრე მწარმო-

ებელთ აცლის ხელიდან საწარმოო იარაღს, ჰქმნის დაქირავებულ დღიურ მუშათა კლასს (პროლეტარიატს), რომელთაც საწარმოო იარაღების მქონენი, ე. ი. კაპიტალისტები ყველფენ თავიანთ კაპიტალის გასადიდებლათ. მარქსი თავის კაპიტალში „Das Kapital. S. 792' ამბობს: მესაკუთრე მწარმოებელნი, დამოუკიდებელ-მშრომელნი ინდივიდები თავის შრომის პირობებით, რომლებიც დამყარებულნი დაყრდნობილი არიან კერძო საკუთრებაზე ვიწროვდებიან და ქრებიან, როგორც საწარმოო იარაღების მესაკუთრენი, კაპიტალისტურ კერძო საკუთრებით, რომელიც აგებულია სხვისა შრომის ექსპლოატაციაზე. როგორც კი ეს გარდაქმნის პროცესი საკმაოთ ხრწნის ძველ საზოგადოებას, ბადებს მუშა პროლეტარიებს, კერძო საკუთრების მუდმივი ექსპლოატაცია დებულობს ახალ ფორმას. ყველა იმათ, რომლებიც აქამდი საწარმოო იარაღის მესაკუთრენი ყოფილან ექსპროპრიაციის მოწყალებით ეცლებათ ხელიდან საწარმოო იარაღები. ექსპროპრიაცია კაპიტალისტური წარმოების იმანენტური კანონია, რომელიც თავის მხრივ შედეგია დიდ ისტორიულ პროცესისა, კაპიტალის კონცენტრაციისა. ერთი კაპიტალისტი კლავს სხვა ბევრ კაპიტალისტებს, ერთი მესაკუთრე იმარჯვებს მრავალ მესაკუთრეებზე—კაპიტალისტები პროლეტარდებიან, მცირდება (რელატიურათ) რიცხვით წვრილი წარმოება, მრავლდება დიდი წარმოება, იზდება პროლეტართა რიცხვი, კლებულობს მესაკუთრეთა. ამგვარათ, საწარმოო იარაღის კონცენტრაცია და შრომის გასაზოგადოება შემდეგში მიახწევს იმ წერტილამდე, საცა დღევანდელ წესით წარმოება, ე. ი. კაპიტალისტური. აგებული კერძო საკუთრებაზე, შეუძლებელი შეიქნება; დადგება ჟამი, უკანასკნელი საათი, როცა კაპიტალისტური წარმოება გაითიბება. ექსპროპრიატორებს თითონ ექსპროპრიაცია მოუვათ.

ეს არის კლასიური ფორმა მარქსისა, „ჩანთქის ლეგენდა", —კაპიტალის კონცენტრაცია, რომლის გაბათილებას თითქმის მთელი სამოციწლიწადი ცდილობენ ბურჟუაზიული ეკონომისტები და ამათთან ერთათ სულ ახლათ შესდგომია ღრმათ გაბრძვნილი ლეიპციგელი ბ. „გ. კ." (ეს ახალგაზდა ვაჟბატონი „ცნობის ფურცლის" ფელეტონში ისე ავტორიტეტულათ ფახი-ფუხობს, გეგონებათ მთელი კაცობრიობის მეცნიერება გადაუყლაპიაო). რასაკვირველია კაპიტალისტურ წარმოების კონცენტრაცია, ექსპროპრიაცია ექსპროპრიატორებისა, შემდეგი, კაპიტალისტურ კერძო საკუთრების მოსპობა უნდა როგორც ისტორიული პროცესსი გავიგოთ, რომლის დამყარება და გამეფება აუცილებელია, მაგრამ ამავე დროს, კაპიტალის კონცენტრაციის ფორმა და სიჩქარე არ შეუძლიან უბრალო მომაკვდავს წინდა-წინვე იწინასწარმეტყველოს, თუნდაც იგი ბ. "გ. კ."—ღრმათ ფილოსოფიურათ გაბრძნილი იყოს. მარქსიზმის თეორიის სინამდვილე იმაზე კი არ არის დამოკიდებული თუ რამდენათ ეს კატასტროფა ეკონომიურ განვითარებაში ჩქარა ანუ ნელა ხდება, არამედ თვით ტენდენციაზე, საითაც კაპიტალისტურ წარმოების მიმდინარეობა მიექანება. მარქსის სოციალურ-პოლიტიკური კატასტროფა, რომელიც ხანგრძლივ ეკონომიურ ევოლიუციის შედეგია, სინტეზია განსაზღვრულ (განსაკუთრებულ) პოლიტიკურ და სოციალურ სიტუაციისა. თუ რომ „ჩანთქის ლეგენდა" (კაპიტალის კონცენტრაცია) მოხდება საერთოთ ყველა კაპიტალისტებისა ყოველ მხრივ და მომენტალურათ, მაშინ რასაკვირველია ამ გვარი თეორია დასაგმობი იქნებოდა, მაგრამ ამის მგზავსი რამ მარქს-ენგელს თავის დღეში არა უთქვამთ. ეს მხოლოთ მარქსის მოწინააღმდეგეთა ავათმყოფ ფანტაზიის ნაყოფია და სხვა-არაფერი. და თუ ეს ასეა, მაშინ კიდევ რიცხვით ბლომათ წვრილ მწარმოებელთ არსებობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, იგი არ არღვევს მარქსის დოკტრინის (კაპიტალის კონცენტრაციის) სინამდვილეს. წვრილ მწარმოებელთა საკმაოთ გაზდილი რიცხვი კონცენტრაციის ტენდენციაზე, ეკონომიურ განვითარების მიმდინარეობაზე სრულებით არაფერს არ გვეუბნება. დღევანდელ საზოგადოების სოციალიზმისთვის დამწიფება არ შეიძლება სტატისტიკურ ციფრების საშვალებით გავიგოთ; იგი დამოკიდებულია უთვალავ იმპონდერაბილებიდან, რომლის გაზომა არ ძალუძს ადამიანს, რომლის ეკონომიური მოტივები და ძალები სტატისტიკურათ არ შეიგნება. ჯერ ჯერობით ისე არ განვითარებულა კაცობრიობა რომ კლასთა ბრძოლა სტატისტიკურ ციფრებით აღინუსხოს. სტატისტიკის ციფრებით კვლევა იმის ძიება, თუ რამდენათ აწმყო საზოგადოება დაშორებულია მომავალ სოციალურ სახელმწიფოდან, უაზრობაა; ამ გვარ მეტოდით თავიანთ იდეალის გამორკვევა ორტოდოქს-მარქსისტებს არ სწამებიათ და არც ეწამებათ. მუშათა პარტიამ უნდა იბრძოლოს: მალე თუ გვიან, როდის და რა დროს უნდა გაიმარჯოს სოციალიზმა, ამაზე სტატისტიკური ციფრები არავითარ ცნობას არ მოგვცემს. რასაკვირველია, ის კი მართალია რომ სოციალიზმის გამარჯვების იმედი, დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენათ მართლდება კონცენტრაციის ტენტენცია; მაგრამ ამავე დროს სისულელე იქნებოდა თუ რომელიმე ორტოდოქსი მარქსისტი მოისურვებდა დაესახელებინა ის დრო ის სიმაღლე კაპიტალისტური წარმოების განვითარებისა, როცა უნდა მოჰხდეს სოციალური რევოლიუცია. (Kautsky. Gegen Bernstein. s. 54) ესევე კაუცკი ამბობს თავის ერთ ცნობილ წიგნაკში: „Die Soçiale Revolution. S. 25" (სოციალური რევოლიუცია): საზოგადოების სოციალიზმისთვის დამწიფებას, სოციალიზმის განხორციელებას ხელს არ უშლის, ვერ აკავებს წვრილ მწარმოებელთა კიდევ საკმარისი რიცხვთა რაოდენობა, ვინაიდან სოციალიზმის განხორციელებაში მთავარ გადამწყვეტელ როლს თამაშობს დიდი წარმოების რაოდენობა.

იქ საცა, დიდი წარმოება განვითარებული არ არის, სოციალიზმის განხორციელება შეუძლებელია, სამაგიეროთ, საცა კი დიდი წარმოება ყველა დარგის წარმოებაში გაბატონებულია ადვილია სოციალიზმის დამყარება. რამდენათ იზდება დიდი წარმოება მოვიყვანთ კაუცკის წიგნიდან შემდეგ სტატისტიკურ ცნობებს: წვრილ მწარმოებელთა რიცხვი გერმანიაში 1882—1895 წლამდე 1,8 პროცენტით გაიზარდა, მაგრამ ამავე დროს დიდი წარმოება (საცა 50 მუშაზე მეტი მუშაობს) 90 პროცენტით; სულ დიდი წარმოება კი (1000 მეტ მუშას ამუშავებენ.) 100 პროცენტით გაიზარდა. ასეთ ტემპით დიდი წარმოების გავრცელება აუცილებელი პირობაა სოციალიზმის განხორციელებისათვის. როგორც ვხედავთ წვრილი წარმოება აბსოლიუტურათ იზდება, მხოლოთ რელატიურათ (შედარებით) კლებულობს. ცნობილი ორტოქს-მარქსისტი პარვუსი საინტერესო სტატისტიკურ ცნობებს იძლევა „Neue Zeit."-ში:

1900—1901

გერმანიის მცხოვრებთა დიფერენციაცია.

	სულ	საზოგადოთ ინდუსტრ.
ა) შეძლებული კლასი, დამოუკიდებელი.	0,74 %	0,83 %
ბ) საშუალო ქონების ხალხი. . . .	31,32"	14,58„
ს) პროლეტარიატი	53,31"	68,55„

როგორც აქ მოყვანილ ციფრებიდან სჩანს მარქსის კაპიტალის კონცენტრაციის თან და თანობა ხდება, მესაკუთრე უმრავლესობას ეცლება ხელიდან საწარმოო იარაღები, მასსა პროლე-

ტარდება. როგორც ხედავთ, კაპიტალისტთა კლასსი მთელი გერმანიის ცხოვრების ერთ მთელ პროცენტსაც არ შეადგენს, მაშინ როცა პროლეტარიატი მთელ ხალხის მაიორიტეტ შეადგენს. მაკრამ ბურჟუაზიული ეკონომისტები მაინც სტატისტიკურ ციფრებს აბუჩათ იგდებენ, ციფრებიდან გამოყვანილ დასკვნას უარყოფენ, ისინი მაინც მაღალი ხმით გაიძახიან: მარქსის კაპიტალის კონცეტრაცია, მასის გაპროლეტარება ტყუილია. ცხირებულობაც ამასა ჰქვიან! განვიხილოთ ცოტა უფრო დაწვრილებით სტატისტიკური ცნობები კაპიტალის კონცენტრაციაზე. გერმანიაში სხვა და სხვა დარგის წარმოებაში (ინდუსტრიაში, ვაჭრობაში, ტრანსპორტში, მეთევზეობაში, მებოსტნეობაში) ითვლებიან:

	1882 წ.	1895 წ.	ზრდა %
წარმოება. 1—5 (მუშა)—	2882768	2934723	1,8.
,, 6—10 ,,	68763	113547.	65,9
,, 11—50 ,,	43552	77752	76,9
,, 51—200 ,,	8095	15624	93,0
,, 201—1000 ,,	1752	3076	
,, 1000 მეტი.	127	225	100,8
ერთათ.	3005457	31445947.	4,6

მაშინ როცა მთელი წარმოება 4,6 პროცენტი გაიზარდა წვრილ მწარმოებელთ ხვდება მხოლოთ 1,8 პროცენტი, სულ დიდ წარმოებას კი 100 %. ასე, თუმცა წვრილი წარმოება აბსოლიუტურათ გაიზარდა, მაგრამ რელატიურათ საგრძნობელათ იკლო. 100 წარმოებაზე მოდის: 1882 წ. 1895 წ.

წარმოება. 1—5 (მუშა).	95,9	93,3
,, 6—10 ,, ...	2,3	3,6
,, 11—51 ,.	1,5	2,5
,, 51—200 ,, ...	0,3	0,3
,, 201-1000 ,, ...	0,0	0,1
,, 1000 მეტი.	0,0	0,0

მთელ წარმოებიდან, წვრილი წარმოება 95,9 პროცენტიდან 93, 3 პროცენტზე ჩამოვიდა. წვრილი წარმოება ერთი შეხედვით კაცს ეგონება ვითომ ძალიან გაიზარდა, მაგრამ სურათი შეიცვლება, თუ მივიღეთ მხედველობაში მუშათა რიცხვის რაოდენობა წარმოებაში.

	1882	1895	ზრდა %
წარმოება. 1—5 (მუშა)	4335882	4770669	10,0
,, 6—10 ,,	500097	833409	66,6
,, 11—50 ,,	891623	1620848	81,8
,, 51—200 ,;	742688	1439776	93,9
,, 201-1000 ,,	657349	1155836	76,8
,, 1000 მეტი ,,	213166	448731	110,5
ერთათ:	7340789	10269264	39,9.

საერთოთ მუშათა რიცხვი წარმოებაში გაიზარდა 40 პროცენტით, წვრილ წარმოებაში 10 %, სულ დიდ წარმოებაში 110 პროცენტით, რელატიურათ ძალიან შემცირებულა წვრილი წარმოება, 100 მომუშავეზე მოდის: 1882 წ. 1895 წ.

წარმოება. 1—5	59,0	46,5
,, 6—10	6,8	48,5
,, 11—50	12,2	15,8
,, 51—200	10,1	14,0
201—1000	9,0	11,2
1000 მეტი	2,9	4,9

წვრილი წარმოება 1882 წ. მთელ ინდუსტრიულ ცხოვრების თითქმის $^2/_3$ შეადგენდა, 1895 წელს კი ნახევარზე ნაკლებს.

როგორც ირკვევა, რამდენათ დიდია წარმოება იმდენათ მეტი პროცენტით იზდება. წვრილი კი შედარებით კნინდება. ყოველ ეჭვს გარეშეა, კონცენტრაციის ტენდენცია, ოდნათაც არ ირყევა, პირ იქით დიდის სინამდვილით და სიჩქარით სრულდება, როგორც ეს მარქსის ნაწერებშია გათვალისწინებული. ახლა თუ მხედველობაში დიდ წარმოების ეკონომიურ უპირატესობას (ნაწარმოების რაოდენობას) მივიღებთ, მაშინ ხომ წვრილ წარმოებას პირველთან შედარებით სულ მცირე მნიშვნელობა აქვს. ა. ბებელს ჰანოვერის პარტეიტაგის პროტოკოლში გ. 100. შეერთებულ შტატების 10 მთავარ ინდუსტრიულ დარგებიდან ნაწარმოების რაოდენობაზე საინტერესო ცნობები აქვს მოყვანილი: დაბალი კლასის წარმოება წლიურათ 40000 დოლარის (დოლარი ორ მანეთს უდრის) ღირებულობას აწარმოებს, საშუალო კლასის წარმოება 40—150000, დიდი წარმოება 150000 მეტს. ფაბრიკების რიცხვი იყო 3696. აქედან 2042 წვრილი წარმოება-აწარმოებდა 9,4% მთელი წარმოებისა; მეორე კატეგორიის 968 წარმოება აწარმოებდა 19,5%, პირველი და მეორე ერთათ 2010 ფაბრიკა ჰქმნიან 28,9 %, მაშინ როცა დიდი ფაბრიკები 686. 19 % მთელი წარმოებისა არა ნაკლებ 77,1% საქონელს ამზადებდა. ქვევით უნდა მხედველობაში მივიღოთ რომ კაპიტალის კონცენტრაცია ყოველ წარმოების დარგში ერთი სისწრაფით არ ხდება. ერთ დარგში გაბატონებული დიდი წარმოება ავიწროებს წვრილ მწარმოებელთ, მაგრამ მაინც უკანასკნელნი არ პროლეტარდებიან, შევიწროებული წვრილი მწარმოებელნი სხვა პროფესიას კიდებენ ხელს, მაგ. ინდუსტრიაში გაკოტრებული ფაბრიკანტი პატარა კაპიტალის საშუალებით შუამავალ ვაჭრობას კიდებს ხელს. უკვე სტატისტიკურათ დამტკიცებულია რომ ინდუსტრიულ წარმოებაში კაპიტალის კონცენტრაციამ უფრო დიდი ნაბიჯი გადადგა ვიდრე ვაჭრობაში და ტრანსპორტში.

1882—1895 წ.	წარმოება. 1—5	6—20	50 მეტი
ინდუსტრიაში . . .	2,4%	71, 5%	87,2%
ვაჭრობაში	48,9%	94,1%	137,8%

აქაც წვრილ წარმოებაში მუშათა რიცხვი აბსოლიუტურათ შემცირებულა, უფრო მეტი, თვით წვრილი წარმოება დიდათ შემცირებულა. განვიხილოთ ცოტა უფრო დაწვრილებით. ყველაზე მეტად განვითარებულია დიდი წარმოება და ყველაზე მეტად შემცირებული წვრილი წარმოება შემდეგ ინდუსტრიის დარგებში. ათას მომუშავეზე მოდის:

ინდუსტრია	წარმოება 1—5	6—50	50 მეტი
სამთო წარმოება	0, 7	4, 0	95,3
ქიმიური წარმოება	15, 7	22,6	61,7
ქსოვილების ინ.	26,0	14,8	59,2
მაშინების და ინსტრუმ.	22,1	18,9	59,0
ქაღალდის ინდუს.	17,7	31,5	50,8
ქვის ლ მიწის ინდ.	12,8	42,5	44,7
სანათის ინდუს.	15,2	45,1	39,7
industrie de Suh. stoffe			

ქვევით დასახელებულ წარმოებაში 1882 წლამდე კაპიტალის კონცენტრაცია არ ხდება, შემდეგში კი თავს იჩენს კონცენტრაციის ტენდენცია.

ინდუსტრია	1—5	6—50	50 მეტი
საქონლის ლ თევზ.	3,7%	35,1%	700,9%
ტანსაცმლის	96“	81,5“	162,0“
სასტუმრო, ლუდახანა	70, 2	138,5	429,7%
სავაჭრო წარმოება	47, 4	89,5	177,6“

სავაჭრო ბოსტნეულობა	65, 0	141,6	40,8''
ხელოვნური ინ.	4,2%	66,9	576,1%
ხის ინდუს.	3,1''	118.6''	138,7
საზოგადოთ	10, 0	76,3''	86,2''

ასე, ყველგან, გარდა ხელოვნურ ბოსტნეულობისა დიდი წარმოება უფრო სწრაფათ იზრდება ვიდრე წვრილი. ამასვე ამტკიცებს ცნობილი ლეიპციგის პროფესორი, პოლიტიკურ ეკონომიის და სტატისტიკისა, კ. ბიუხერი თავის წიგნში; Die Entstehung der Volksirwschaft ამბობს: „რასაკვირველია, საზიმოვნო არ არის რომ დიდი უმრავლესობა თავისუფალ პატარა მესაკუთრებისა, რომლებიც ძველ ქალაქების ძირეულ ცხოვრებას შეადგენდენ, ქრებიან, მათ ალაგს იჭერს დამოკიდებული მასსა პროლეტარიატი". ასეთია ბურჟუაზიულ ეკონომისტის შეხედულობა ხელოსნობის განვითარებაზე.

გარდა ამისა, კაპიტალის კონცენტრაცია უფრო სისწრაფით ხდება ვიდრე სტატისტიკაშია აღნიშნული, რადგან კითხვის გარკვევის დროს სტატისტიკოსები ჩვეულებრივ ყალბ მეთოდით ხელმძღვანელობენ. მაგ. ბ'მირათ ერთ მესაკუთრეს სხვა და სხვა ალაგს აქვს წარმოება, სტატისტიკაში აღნიშნულია საკუთარი წარმოებანი, მაშინ როცა ესენი ერთ მთავარ წარმოების ფილიალები არიან. დიახ, დიდი შეცდომაა, როცა არ არჩევენ წარმოების სტატისტიკას. მფლობელობის (Besitzstatik) სტატისტიკიდან, უკანასკნელი არა არსებობს, ხოლო რომ არსებობდეს მაშინ კაპიტალის კონცენტრაცია უფრო აშკარა იქნებოდა. გერმანიის დიდ მემამულეს აქვს სამეურნო წარმოება, აგურხანა, ლუდის ქარხანა, სპირტის ქარხანა, წისქვილი, საკირე, შაქრის ქარხანა და სხვა... სტატისტიკაში ყველა ეს წარმოება როგორც საკუთარი წარმოებაა აღნიშნული, ნამდვილათ კი ტყუილია. თუნდა ერბო-კალბასის სავაჭრო ავიღოთ მაგალითათ. გერმანიაში ძნელათ მოიპოვება ისეთი ქალაქი საცა კრაუზეს ოცი და ორმოცი ერბოს და კალბასის (ძეხვი) სავაჭრო დუქნები არ იყოს. თუ არ ვცდებით, ვგონებ ერთი ორმოცამდე კრაუზეს ერბო-კალბასის დუქანი ქ. ლეიპციგშიაც არის, ასე რო ჩვენ ლეიპციგელ ბ. გ. კ. ხშირათ ექნება შემთხვევა ხან ერთ ქუჩაზე წააწყდეს კრაუზეს ერბო-კალბასის დუქანს და ხან მეორეზე. ეს ამოტელა რიცხვი მრავალი ერბო-კალბასის სავაჭროები ერთ კაპიტალისტს ეკუთვნის, კრაუზეს. სტატისტიკაში კი ნაჩვენებია ვითომ თვითეული სავაჭრო, საკუთარი წარმოება იყოს. ამას დაუმატოთ ისიც რომ არიან 1000—2000 მწარმოებელნი, რომლებიც როგორც მესაკუთრე, დამოუკიდებელ მწარმოებელი არიან ნაჩვენები, ფაქტიურათ კი დამოკიდებულნი არიან. მაგ. გერმანიაში არიან ათასობით ზეინკლები, დანის მჭედლები ჭ სხვანი, რომლებიც დღიურ ქირაზე, დაკვეთით თავიანთ ოჯახში ვაჭრებისთვის და ფაბრიკანტებისთვის მუშაობენ. ასეთი ნაკლიანი სტატისტიკა ბევრ ბურჟუაზიულ ეკონომისტს ჭ ახალგაზდა „მეცნიერს," როგორიც არის ლეიპციგელი ბ. „გ. კ." შეცდომაში შეიყვანს და სიცრუეს წამოაროშვინებს: კაპიტალის კონცენტრაცია არ ხდება ისე, როგორც მარქსს აქვს ნათქვამი. დიახ, მარქსი გვასწავლის უმრავლესობა პროლეტარდება უმცირესობა კი, კაპიტალისტები, მდიდრდებიან, ამათ ხელში გროვდება ნივთიერი სიმდიდრე, მასსა ღატაკდება (რელატიურად), დამოკიდებული ხდება კაპიტალიდან. ამასვე ამბობს, „მანიფესტში": მთელი საზოგადოება თან და თან ორ დიდ მოწინააღმდეგე ბანაკათ იშლება, ერთი მეორეს საწინააღმდეგო კლასებათ იყოფა: ბურჟუაზია და პროლეტარიატი" განა ყველა ზევით მოყვანილი სტატისტიკური ცნობები არ ამტკიცებენ მანიფესტში და კაპიტალში გატარებულ იდეას: — კაპიტალის კონცენტრაციას? განა ფაქტიურათ არ ხდება ასე? თუ რომელიმე თეორია გამართლებულა ეს ისევ მარქსისა. მაგრამ მეურნეობა? განა მეურნეობის განვითარება მარქსის თეორიის გაკოტრებას არ ნიშნავს? ამაზე „მოგზაურის" მკითხველებს შემდეგში მოველაპარაკებით. მხოლოთ მოკლეთაც ვიცოდეთ რომ მარქსის კაპიტალის კონცენტრაციის ტენდენცია აქაც მართლდება.

ლ. ახმეტელაშვილი

ექიმი კოდრატე ჩიპურტანიძე.

— ეხლავე ეტყობა, რომ რალაც წინააღმდეგი ვაჟკაცი გამოვა ჩემი ღუტუ, ჩემი პატარა ბიჭიკო! ალერსით ამბობდა ექიმი კოდრატე ჩიპურტანიძე და პატარა ბავშვს გულში მაგრათ იკრავდა.

— დღეს ოთხი სტაქანი და ერთი ისეთი ვაზა გაგვიტეხა, რო ხუთი მანეთი ფული ღირდა. განაგრძო მან; დედასა და ხანდისხან მეც ცხვირში გვცემს ხოლმე. სწორეთ წინაალმდეგი ბიწი გამოვა მისი წილიმე.

— რამდენი წლისა არის თქვენი ღუტუ? შეეკითხა სტოლთან მჯდომი სტუმარი ვასილი.

— ჯერ სულ ოთხი წლისა ძლივს იქნება, მაგრამ ფეხზედაც დადის და ვაგლახათ კიდევაც ლაპარაკობს.

— აბა გენაცვალე თქვი ერთი ძიასთან შე რო ლექსები იცი! სთქვი ჰო, რაის გეშინია! ყოჩაღათ, შენებურათ!

ბავშვი წელში გაიმართა, ხელები ძირს ჩამოუშო და სხაპა-სხუპით დაიწყო:

«იმ დაწოცვილ ეკლესიას, ლათ უნდოდა კალებიო, შემოდიან გამოდიან თხამ ვენახი შეწამაო, ოი, ამას ვენაცვალე...»

— შეხე. შეხე, როგორ აურიე შე თათარო შენა! ალერსიანი კილოთი უსაყვედურა კოდრატემ პატარა ღუტუს.

კმაყოფილების ღიმილით განათებული სახე და ცეცხლივით აღგზნებული თვალები ნათლათ მოწმობდენ, რომ კოდრატეს ამ ქყეყნიურ ბედნიერებას მხოლოთ პატარა ღუტუს არსება წარმოადგენდა.

— მაძის მჭევრ-მეტყველური ნიჭი უთუოთ ამასაც უხვათ გამოაჩნდება, ღიმილით წარმოსთქვა ვასილმა, რითაც ასეთივე ღიმილი გამოიწვია კოდრატეს სახეზე, რომელსაც თავისი თავი მართლა ორატორათ მიაჩნდა.

ამ დროს მეორე ოთახიდან ახალგაზრდა ქალი გამოვიდა და სტუმარს მიესალამა.

— რატო ასე დაგვიძვირეთ სტუმრობა ბ-ნო ვასილ? მე განსაკუთრებით მინდოდა თქვენი ნახვა. რა ვქნა, ურჩიეთ რამე ამ გიჟს, (თანაც ქმარზე მიუთითა), თქვენს სიტყვას უფრო აფასებს და პატივსა სცემს. ასე გაუფრთხილებლათ ლაპარაკი და მოქმედება არ შეიძლება ღმერთმანი.

სტუმარი მიხვდა საქმე რაშიაც იყო, რადგან ასეთი თხოვნით არა ერთხელ მიუმართავთ მისთვის, და ეშმაკური ღიმილით თავი გააქან-გამოაქანა.

— ცოლ-შვილის პატრონი კაცია, განაგრძო ელენემ, რადა გეუშველება ეს რომ რაიმე ხათაბალაში გაგებას? მერმე ისეთი გაუფრთხილებელი, ისეთი მოუფრიდებელია, რომ დღეს არა ხვალ უსათუოთ დაიჭერენ.

— რას მიპირობთ რა ვქნა, ენაზე ბორკილს ხომ ვერ დავიდებ და თუ სახლიდან გარეთ არ გავედი ავათმყოფი ხომ ვერ ადგება და მოვა ჩემთან?

— არა, ელენე სრულს ჰეშმარიტებას ამბობს, დაიწყო ვასილმა; სიფრთხილე რაც მეტია, მით უკეთესია შენთვის; ტყვილათ თავი არ უნდა გასწირო. ხიფათი თითონ ეძებს კაცს და ოჯახის პატრონმა უთუოთ დიდი მორიდება და წინ დახედულება უნდა იქონიო.

ვინც ვასილს კარგათ არ იცნობდა, უთუოთ იფიქრებდა ყველა ამას მართლა გულით ამბობსო და კოდრატე ჩიპურტანიძეც ამგვარათ იყო დარწმუნებული.

— მაგას უფრო იმიტომა სდევნიან, რომ ყველა ღარიბ-ღატაკი აქ იყრის თავს, გაუბედავის ხმით წარმოსთქვა ელენემ.

— რა ვქნა ხომ ვერ ვეტყვი ავათმყოფს ჩემთან ნუ დადიხარ, სხვასთან მიდი მეთქი?

— მაგას როგორ ეტყვი, მაგრამ სიფრთხილე მაინც დიდი უნდა იქონიო—დაუმატა ვასილმა.

— აი გუშინ მაგალითად, შენ რო სახლში შემოდიოდი, იქით მეორე ტროტუარზე ვიღაც უცნობი კაცი იყო გაჩერებული და ისე აგათვალ-ჩაგათვალიერა, რომ დარწმუნებული ვარ ყველაფერი გაიგო, წარმოსთქვა ელენემ.

— ეჰ ერთი, მე რომ ასე მორიდებით ვყოფილიყავი და მაგათი შიშით გარეთ აღარ გამოვსულიყავ, ამდენ ხანს შიმშილით მოვკვდებოდი. სხვა არა იყოს რა ვაპირუტყვდები კაცი! ღმერთმანი ზოგიერთა კარგი გაზეთი ვერ გამომიწერია, რა არის ეჭვი არ აიღონ მეთქი. მე თითონ არა ერთხელ შემინიშნავს, რომ ქუჩაში როცა მივდივარ ზოგი აქედან მიყურებს, ზოგი იქიდან, წარმოიდგინე ყველა საეჭვო: წითური, წვერ მოპარსული და რიჟა ულვაშებით, ნამდვილი შპიკოიდი რაღა! რომელ ერთს უნდა დაემალო?

შეიძლება გეუცხოვოსთ, მაგრამ მართლა გასაკვირი იყო კოდრატე ჩიპურტანიძის საქმე. ზოგი სხვებისა და ზოგიც საკუთარი ოცნების საშვალებით, მან დაარწმუნა თავისი თავი, რომ ის მართლა დიდი ვინმეა და რომ მას პოლიცია დიდს ყურადღებას აქცევს და გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს. ის დარწმუნებული იყო, რომ მთავრობას კერძოთ მისთვის რამოდენიმე ჯაშუში ყავდა დაქირავებული. ისე ღამე იშვიათად გაივლიდა, კოდრატეს რამე საშიშარი სიზმარი არ ენახა და ამგვარათ დღიან ღამიან მოსვენება დაკარგული ჰქონდა. ხან იჭერდენ სიზმარში, ხან სჩხრეკდენ და რაღაც საწინააღმდეგო ხელ-ნაწერებს პოულობდენ; ხან ვითომ სასამართლოში იჯდა ბრალდებულის სკამზე და სიტყვას ამბობდა; ვინ იცის, რა საოცარი სიზმარი იმის თავში არ გაელებდა! ერთხელ, გამწარებულმა კოდრატემ საზარელი ღრიალი გააბა და მთელი ოჯახი ფეხზე დააყენა. სიზმარში ენახა, ვითომ სახრჩობელაზე მიყავდათ, რაღაცა ლექსის დაწერისათვის. როგორც შემდეგ გამოირკვა პერანგის საყელოზე ღილი დარჩენოდა გაუხსნელი და მართლა რაღაც ნაირათ კისერამ დამხრჩვალიყო.

საზოგადო საქმეებში კოდრატე მაგრე რიგათ არ ერეოდა და ხალხს ფარულ მოღვაწეთ აჩვენებდა თავს. შემოსავალი კარგი ქონდა, აქა იქ ქველმოქმედებასაც კი ეწეოდა. ყოველივე მისი მოქმედება რაღაცა საიდუმლოებით იყო მოცული და ამიტომ არც მისმა ელენემ იცოდა ნამდვილი სახე ძვირფასი კოდრატესი. აი სწორეთ ეს საიდუმლოება იყო მიზეზი იმისი, რომ კოდრატე ყველას რაღაც დიდათ მიაჩნდა და ბოლოს სხვებისგან თითონაც დარწმუნდა მართლა ასეთი „საშიში“ კაცი ვყოფილვარო.

სხვებზე უფრო კოდრატეს თავისი გვარისკაცები სცემდენ პატივს, თითქმის აღმერთებდენ და კოდრატეც შესაფერათ სარგებლობდა ამით. ჩიპურტანიძეებში მხოლოთ ის იყო განათლებული და თანაც «საზოგადო მოღვაწე», იმან ასახელა გვარი და სახლიკაცები ძლიერ ამაყობდენ ამით. როდესაც შეეკითხებოდენ ამა თუ იმ საიდუმლო დაწესებულების ამბავს, კოდრატე იძულებული იყო ტყუილები ელაპარაკნა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მეგვარეების თვალში რეპუტაციას დაკარგავდა. ყველა მოქმედ და ხალხში პატივცემულ პირებს კოდრატე „ამხანაგებს“ უძახოდა, თუმცა მათთან სადილის ჭამის მეტი არავითარი ამხანაგური საქმე არა ჰქონდა და კოდრატეს ისეთ საქმეს მიაწერდენ ხოლმე, თანხმლებაც თაც არ გაეგონა და ის კი ისეთის შნოითა და მედიდურობით იფერებდა ხოლმე, თითქო ეს არის გუშინ მოიმოქმედაო.

ელენესაც ასეთი წარმოდგენა ქონდა თავის ქმარზე და ყოველ ღონის ძიებას ხმარობდა სიფრთხილეს შეეჩვია. შემთხვევით სტუმრათ მოფი ვასილი თითის ფრჩხილებამდე იცნობდა ექიმს და ამიტომაც იმისი დარიგება მუდამ ფარული ირონიული ღიმილით იყო გაჟღენთილი.

— დროა მართლა სიფრთხილით მოიქცე, ეუბნებოდა ვასილი კოდრატეს, ხომ გაგიგონიაო: კოკა ყოველთვინ წყალს არ მოიტანსო; ერთხელაც იქნება შეგიტყობენ და შენი თავი თუ არ გენანება, ცოლ-შვილი მაინც უნდა გაიხსენო.

— არა მეგობარო! გაგონილა ჩემს თავს მევე დავადვა ბორკილი? რაც მომივა, მომივა?

— კარგია შენშა მზემ, რაც მოგივა, მოგივა!!.. რა უშავს რომ არაფერიც არ მოგივიდეს და ქვეყანასაც უშველო?! მთა და ბარი სხვას ვის გაუსწორებია, უსაყვედურა ქმარს ელენემ.

— მართლა ძალიან კი ამიხირდენ, იცი!! გუშინ დილით სოფლიდან რო ჩამოველი, საღგურზე ერთი უცნობი კაცი შემხვდა და პაპიროსზე ცეცხლი მთხოვა. მაშინვე ვიფიქრე და მივხვდი საქმე რაშიაც იყო, მაგრამ მე ვითომ არაფერიც არ ვიცი, ისე, ავიღე და სპიჩკა გადავეცი. ახლა უყურე მამაძალობას: ჯერ ერთი გაჰკრა და გააქრო, მერმე მეორე, მესამე და ასე რამოდენიმე. თანაც მე მიყურებდა და იღიმებოდა. ისე მოართულიყო, რომ აზრათ არავის გაუვლიდა: ეს ასეთი ხელობის კაცი უნდა იყოსო. ბოლოს როგორც იქნა მოუკიდა და წავიდა. მე რასაკვირველია ფაიტონს მივაშურე, მაგრამ დახე ხათაბალას: ჩავჯექ მე და გავიხედე ისიც ჯდება ფაიტონში. ეხლა ცხადი იყი იმისი განზრახვა და გავუკარი ვიწრო ქუჩისკენ. იქიდან გიმნაზიის შესახვევში გავედი, შემდეგ ხიდთან ჩავუხვიე და ისე ამოვედი აქ. ყოველივე ეჭვს გარეშეა ვინმე სიშჩიკი იქნებოდა, მაგრამ მეც მოხერხებულათ დავუძვერ ხელიდან.

— მართლა, მაინც როგორ ყველა ამას ეხვევა!? სახეზედ ხო არ ატყობენ რავქნა? წარმოსთქვა ელენემ და თანაც გულში სიამოვნებას გრძნობდა კოდრატეს მოხერხებული საქციელის გამო.

— როგორ არ ატყობენ, დაიწყო ვასილმა, ისინიც ისე კარგათ არჩევენ ვინ საშიშარი კაცია და ვინ არა, როგორც კოდრატე. აკი გითხარით, მეტი სიფრთხილე სჭირია, რომ ხათაბალაში არ გაებას მეთქი.

კოდრატე დიდს სიამოვნებას გრძნობდა.

მხოლოთ პატარა ლუტუ გაწოლილიყო იატაკზე და კარგა მოზრდილ წითელ კანიან წიგნს გულდასმით ფურცლავდა. უცებ, რაღაცა მოსაზრებით საჭიროთ დაინახა—ოთხიოდე ფურცლის ამოხევა და თავისი განზრახვა დაუყოვნებლივ სისრულეში მოიყვანა.

— აი შეხედე, ელენე, შეხედე! რასა შვრები შე თათარო, შენა! სულ გააჩანაგა წიგნები, ველარსით დაგვიმალავს. ადე შე გიეო შენა, ადე!

ბავშვი რის ვაი ვაგლახით წამოდგა და ბატური ჩანჩალით დედისკენ გაეშურა.

— მიაჩვიე და დახევს მა რას იზამს. მეტს ნუღარ დახევ დედა გენაცვალოს! წიგნებს დასახევათ როდის წერამენ. დაარიგა დედამ შვილი და ხელით თმა გადავარცხნა.

— კარგი დრო მაგას მოესწროობა აი, წარმოსთქვა ვასილმა.

— არა მგონია!.. მაგასაც ჩემსავით დევნა წვალება უწერია უთუოთ ბედის ფიცარზე. ისე არ უნდა დარჩეს ურიგო ბიჭი, ტანიც დიდი აქვს და თუ არ გააფუჭეს ჭკვიანიც არის.

— ახლა მაგასაც შენი ბედი დაუბედე ერთი! ღმერთმა დაიფაროს მაგის ასეთ დღეში ჩავარდნა! ნაწყენი კილოთი წარმოსთქვა ელენემ და ბავშვს ცხვირი მოსწმინდა.

პატარა ღუტუ გაოცებული შესცქეროდა ხან ერთსა და ხან მეორეს, თუმცა ნამდვილი აზრი ლაპარაკისა მისთვის საიდუმლოებას შეადგენდა.

— მაშ არა და საქართველოს პრეზიდენტობას მისცემენ რალა, დაიწყო კოდრატემ. მაშინდელ დროში ნასწავლები კიტრის ფასათ იქნებიან.

— პრეზიდენტობას თუ არა მინისტრობას მაინც იშოვნის, ღიმილით წარმოსთქვა ვასილმა და წასასვლელათ მოემზადა.

— სადილათ დაგვიცადეთ ვასილ! შეეპატიჟა დიასახლისი, ასე იშვიათათ დაღიხართ და ახლაც ამბის თქმას ველარ მოასწრობ კაცი! სადილი მზათა გვაქვს.

კოდრატემაც ბევრი იწუხა თავი, მაგრამ ვასილს საქმეზე მიეჩქარებოდა და წავიდა.

— რას იზამ კაცი, დაიწყო კოდრატემ, როგორ შეილება „ამხანაგს“ უთხრა ნუ მოხვალო და თითონ კი ამას ველარ მიმხდარა. ქვეყანა ხედავს აქ რო შემოდის და გადის.

— ვითომ რა უშავს რო უთხრა? განა არ იციან, რომ ჩვენ ამას სიძუნწით არ ჩავდივართ? შენ რო ასე თვალზე აგიღეს ამ სტუმრების ბრალია და ხიფათი აცილებელია.

— მართალი ხარ; ხედავენ, ქვეყანა ხედავს, თორემ ვინ რა იცის მე გულში რა მიძევს? თქმაც მრცხვენია და უთქმელობაც მეშინია.

— რა ვუყოთ, დაგვემდუროს! უმჯობესია პირ და პირ უთხრა და მიზეზიც აუხსნა, დაარიგა ელენემ და ღუტუსთან ერთათ მეორე ოთახში გავიდა.

ოთახში მარტო კოდრატე დარჩა. ის პატარა ხანს ფანჯარასთან მიდგა, რომ საეჭვო კაცი არავინ ყოფილიყო სახლის მახლობლათ, და შემდეგ ღრმა ფიქრებით გატაცებული სავარძელში ჩაეშვა. ის ფიქრობდა როგორ დაეხწია თავი ასეთი გასაჭირი მდგომარეობიდან.

N.

თფილისის სათავად-აზნაურო სკოლის რეორგანიზაციის გამო.

(ხმა მოსწავლისა).

გაჭიანურებულ სჯა-ბაასის შემდეგ, როგორც იყო, დასრულდა თფილისის სათავად-აზნაურო სკოლის ქართველ საზოგადოების კრება... საუბედუროთ ამდენ ხანს უმეტესობას ძლიერ კარგი შეხედულობა ქონდა თფილისის სათავად-აზნაურო სკოლაზე და ნაკლებათ იყო დაინტერესებული გაეგო თუ რა ხდება იქ. მაგრამ განახლების სიომ ყოველ კუთხეში შეაშუქა და უსამართლობა გამოამჟღავნა. ფარდა აეხადა თფილისის სათავად-აზნაურო სკოლასაც და საზოგადოებამ ნათლათ დაინახა იქ გამეფებული უსამართლობა... მიუხედავათ ამისა ქართველ საზოგადოების ერთმა ნაწილმა არაფრათ ჩააგდო ასეთი უსამართლობა, მან ხელი გაუწოდა უსამართლობების მომქმედთ—თფ. სათავად-აზნაურო სკოლის „პედაგოგებს» და მათთან ერთათ დაიწყო სჯა-ბაასი სკოლის რეორგანიზაციაზე. ვინ არ იცის, რომ რუსეთის არსებული წესწყობილება დღეს თუ ხვალ უნდა დაინგრეს და დღევანდელ უსამართლობის მაგიერ სამართლიანობა დამყარდეს. ამისთვის ყოველი პატიოსანი ადამიანი ვალდებულია თავისი წვლილი შეიტანოს ამ განმანახლებელ მოძრაობაში. თფილისის სათავად აზნაურო სკოლის მასწავლებლები კი თავიდანვე წინ აღუდგენ ასეთ მოძრაობას და ცდილობდენ მოსწავლეებშიაც დაეხშოთ ყოველნაირი მოქმედება ამ მიზნისაკენ მიმართული. ჩემი აზრით, ამავე მიზნით მოიგონეს მათ „სკოლის რეორგანიზაცია“, ახლა მათ შეეძლებათ ენკენისთვიდან მოსწავლეები სკოლაში მოიწვიონ და განაგრძონ „ნორმალური“ სწავლა. ამისთვის მოიწვიეს ქართველი საზოგადოება და შეუდგენ სატყვების რახა-რუხს და მალ-მალალ ფრაზების ფრქვევას. ნუ თუ მეტი მოსაზრება არა აქვთ თფ. სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლებს! ნუ თუ ფიქრობენ, მართლა ფიქრობენ ისინი, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა მათ შეხანხლულ ორგანიზაციას დასჯერდება? ნუ თუ დარწმუნებულნი არიან უფალნი „პედაგოგნი“, რომ დღევანდელ მოსწავლეთა მოძრაობას მეტი შინაარსი არა აქვს და თავისი „რეორგანიზაციით“ უღებენ ბოლოს? მაგრამ დამერწმუნეთ, რომ მათგან ეს სრულიათ მოსალოდნელია.

მაგრამ კარგი, ვთქვათ დაიწყო სწავლა. რით უნდა ხელმძღვანელობდენ თფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლენი, რომ ის მასწავლებლები რომელნიც ამდენ ხანს ერთიმეორეზე უფრო უსამართლოთ იქცეოდენ, კვლავ არ განაგძობენ ასეთ უსამართლობას! რა გრანტია აქვს მოსწავლეს, რომ სკოლის გამგე, ბ-ნი ჩიტაძე, უმიზეზოთ არ დაითხოვს და ქუჩაში არ ამოაყოფინებს თავს იმას, რომელიც მას თვალში არ მოეწონება! რით უნდა ხელმძღვანელობდეს მოსწავლე, რომ ბ-ნნი დ. გ. კარიჭაშვილი, ი. გ. რატიშვილი და ხ. პ. ლლონტი კვლავ არ გალანძღავენ, არ შეურაცხყოფენ და მიწასთან არ გაასწორებენ ყოველ მოსწავლის პირადობას! *) ზოგიერთ მასწავლებლების ფიზიონომია კრებებზედაც გამომჟღავნდა და საზოგადოებამ ნათლათ დაინახა მათი ზნეობრივი ფიზიონომია. მაგალითათ გამოაშკარავდა ბ-ნ გოგიტაძის მეკრიტობა. ძლიერ ძნელათ მოინახება ისეთი მოსწავლე, რომ მისი კრივი არ ეგემოს. კრივი იცოდა ბ-ნმა გოგიტაძემ უფროს კლასებშიაც და მხოლოთ იმიტომ რომ მის ახსნილ გაკვეთილს ვერ გაიმეორებდა მოსწავლე... ასეთი თავისი ჩვეულება ახლა სკოლიდან ცხოვრებაშიც გამოუტანია საზოგადოების საჩვენებლათ, მაგრამ რას იზამ, აქაც გამოჩნდენ ისეთები, რომლებმაც თვალები დახუჭეს და ფაქტს ხელი დააფარეს... აი ასეთი მნიშვნელობა ქონდა მოსწავლეებისათვის თფილისის სათავად-აზნაურო სკოლის რეორგანიზაციას და კრებას. ის უფრო თავის შექცევა და წყლის ნაყვა იყო, ვინემ საქმის გაკეთება. საქმის მოყვარე და წინ დახედული მასწავლებელი კი ღღეს წინ გაუძღვება მოსწავლეებს, შეგნებული მშობელი ხელს შეუწყობს მათ, მოსწავლე ახალგაზდობა ძმურათ ხელს გაუწვდის მშრომელ ხალხს და მათთან ერთათ, ერთი დროშის ქვეშ, შეებრძოლება დღევანდელ უსამართლობას და იმედიც არის რომ ხანგრძლივ მონობიდან თავს იხსნის. და აი მხოლოთ მაშინ, ჩვენ მოსწავლეებს შეგვეძლება განვაგრძოთ სწავლა ახალი რუსეთის, ახალ სკოლაში.

ხ. კანდელაკი.

*) ჩემი ფიქრით, თუმცა გაკვრით, მაგრამ საბუთიანათ და საკმაოთ დავახასიათეთ ამას წინათ მე და ჩემმა ამხანაგმა თფ. სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლების მოქმედება. (მხ. „მოგ.“ № 17 და № 22).

დედაკაცი და მისი ეკონომიური მდგომარეობა.

(კლარა ცეტკინასი).

თარგმანი რუსულიდან.

(დასასრული *).

ამ ნაირათ ჩვენ იმ დასკვნამდის მივედით, რომ ეხლანდელი ქალი ბავშვების კარგ აღმზრდელათ არ ივარგებს. ამიტომ სრულებითაც არ არის სამწუხარო, რომ თანამედროვე ცხოვრების პირობები ამ საქმეს, დედის ნაცვლათ, საზოგადოებას ავალებენ.

არავითარი ლოღიკური საფუძველი არა გვაქვს, რომ ქალს, „დედობრივი მოვალეობის“ გამო, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება აკრძალოთ, ანა და ეს მონაწილეობა შემოსაზღვროთ. საზოგადოება უნდა ცდილობდეს, რომ ბავშვს დედის მზრუნველობა არ აკლდეს, სანამ ეს საჭიროა, სანამ დედა შვილისათვის მართლა ბუნებრივ აღმზრდელს წარმოადგენს ე. ი. ძუძუ-მწოვრობის დროს.

შემდეგ, როდესაც ბავშვი ძუძუმწოვრობის ხანას გადაცილდება, თვით საზოგადოებამ უნდა იკისროს ბავშვების აღზრდა, იმან უნდა გაუწიოს მათ დედობა.

ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ქალები სრულებით უნდა ჩამოცილდენ ბავშვების აღზრდის საქმეს. პირიქით, წინეთაც ვთქვით და ახლაც ვიმეორებთ, რომ მომავალში ამ მხრივ ქალები თვალსაჩინო როლს ითამაშებენ.

მაგრამ ყოველი ქალი, მარტო იმიტომ რომ ის დედა არის, ვერ შეძლებს ამ რთულ და ძნელ მოვალეობის შესრულებას. მხოლოთ ის ქალები გაუძღვებიან ღირსეულათ ამ საქმეს, რომელთაც შესწევთ თანდაყოლილი პედაგოგიური ნიჭი და რომელნიც მიიღებენ ვრცელ, საზოგადო და სპეციალურ განათლებას.

მხოლოთ მაშინ, როდესაც ქალი თავისუფალ საზოგადოებაში, თავის-უფლათ განვითარდება ყოველ მხრივ გაუსწორდება ცხოვრებას და ნამდვილ ადამიანათ გახდება, როდესაც ის კარგათ შეიგნებს რაში მდგომარეობს მისი უფლება და მოვალეობა, როდესაც ამაღლდება და გიოტეს „პრომეტეოსავით“ თამამათ გადმოძახებს თავის ძველ ღმერთებს: „მე ვდგევარ აქ და მსგავსათ ჩემდა ხალხს ვაყალიბებ“!

აი მხოლოთ მაშინ შეგვიძლიან ვილაპარაკოთ ქალზე, როგორც მომავალი თაობის ღირსეულ აღმზრდელზე.

IV.

დასკვნა.

აი მოკლეთ ის, რაც ზემოთა ვთქვით. წარმოების პირობებმა ქალის ეკონომიური მდგომარეობა გაარევოლიუციონერა, მან შეუძლებლათ გახადა, რომ ქალი ისევ ისე ოჯახში ყოფილიყო და შვილები ეზარდა.

იმავე პირობებმა მოსპო საშუალება ქალის მოქმედებისთვის ოჯახში და შექმნა ახალი ასპარეზი მისი მოქმედებისთვის საზოგადოებაში.

ქალი ეკონომიურათ მამა-კაცთაგან დამოუკიდებელი გახდა და თავისი, ახალი მდგომარეობის ძალით, მამა-კაცის სოციალურ და პოლიტიკურ მფარველობას სასიკვდილო განაჩენი გამოუცხადა.

მაგრამ მამა-კაცისგან განთავისუფლებული, ის კაპიტალისტის ქსელში დაიბლანდა და ოჯახის ყოფილი მონა ფაბრიკას დაემონა.

ქალთა ემანსიპაცია წარმოადგენს კითხვას ეკონომიურს, რომელიც მუშათა კითხვასთან მჭიდროთ არის დაკავშირებული.

*) იხილე „მოგზ.“ № 27.

როგორც ქალთა კითხვა, ისე მუშათა კითხვაც გადაწყდება გარდაქმნილ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სადაც შრომის კაპიტალისგან დამოკიდებულება სამუდამოთ მოისპობა და იქნება.

ამ ნაირათ, სრულ ემანსიპაციას ქალი მხოლოთ ახალ, გარდაქმნილ საზოგადოებაში უნდა მოელოდეს.

ზოგიერთ შემთხვევაში ქალთა მოძრაობა ბურჟუაზიულ ნაწილში ცოტა რამე უფლებას და უპირატესობას მოიპოვებს, მაგრამ ქალთა კითხვას კი არასოდეს არ გადაჭრის.

კოლექტივისტური პარტია მიზნათ ისახავს ქალთა კითხვის გადაჭრას **ორგანიზაციით და პოლიტიკო-ეკონომიურ პროპაგანდით**; ფაბრიკებში და სახელოსნოებში მომუშავე ქალთა შეგნება წინ წასწიოს ე. ი. იმოქმედოს იმათ შორის ვისი მდგომარეობაც ახალი წარმოების პირობების გამო ძირიანათ შეიცვალა.

ფაბრიკებში მომუშავე ქალების ორგანიზაცია საჭიროა არა მარტო ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, არამედ ის წარმოადგენს ფრიად მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც მუშათა კითხვას სწრაფათ წინ წასწევს და ერთის სიტყვით, თანადროულ საზოგადოებრივ დამოკიდებულებას უფრო ადრე გარდაქმნის.

წერილები რედაქციის მიმართ.

I.

არა თუ ისეთი წერილმანი უთანხმოება, როგორიც მოხდა ჩემსა და „მოგზაურის“ ზოგიერთ თანამშრომელთა შორის, ხშირათ უფრო მეტიც მოხდება ხოლმე ერთი და იგივე რწმენის წარმომადგენელთა შორის, მაგრამ ეს ხელს არ უშლის საერთო საქმეს, საერთო მიზნის განხორციელებას. უბრალო უთანხმოებიდან რწმენა-შეხედულების სრულიათ გამოცვლამდე მეტათ შორს არის,—ეს უბრალო ჭეშმარიტებაა და ბევრს კი არა ცოდნია, არა ცოდნია მათ, ვინც დარწმუნებულია, რომ მე სრულებით გამოვიცვალე ჩემი წინანდელი მიმართულება და სხვა ბანაკში გადავედი. ცხოვრების რკვევაში, ხალხის კეთილდღეობის საშუალებათა ძებნაში შეიძლება ბევრჯერ არ დავეთანხმოთ ერთი მეორეს, მაგრამ ეს არავის არ აძლევს საბუთს, რომ რომელიმე ჩვენგანს ღალატი დასწამოს. მთელი ჩემი სიმპატია მუშა ხალხისკენ იყო და დარჩება, რადგანაც მე მრწამს, რომ შეგნებული და სოციალ-დემოკრატიული პარტიის დროშის ქვეშ გაერთიანებული მუშათა კლასი ერთათ ერთი ძალაა, რომელსაც შეუძლია არსებული ცხოვრების შეცვლა და მის ნანგრევებზე იმ გვარი წყობილების დამყარებაა, რომ ხალხის უმრავლესობამ ქვეყნათ შესაძლებელი კეთილდღეობის მაქსიმუმი მოიპოვოს.*)

ი. გომართელი.

II

უმორჩილესათა გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში მცირე ადგილი დაუთმოთ ამ ჩვენს საერთო წერილს. წერილი ჩვენი შეეხება ეგრეთ წოდებულ „თავად-აზნაურთა მილიციას“, რომლის საზიზღარი საქციელი არა ერთხელ და ორჯერ გამოფენილა ჭართულ გაზეთების ფურცლებზე. დღეს ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი ქ. თფილისის მკვიდრნი და დროებით მცხოვრებნი, ზიზღს ვუცხადებთ მათ საქციელს.

*) ჩვენც ვეთანხმებით ბ. გომართელს, რომ ზოგიერთ კითხვაში უთანხმოება შესაძლებელია და იგი არ ნიშნავს, რასაკვირველია, პოზიციის გამოცვლას, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მარტო მიზნის რწმენება არ კმარა. საჭიროა მიზნის მისაღწევი საშუალებაც ერთნაირი გვქონდეს გამორკვეული და მართლა **წვრილმანებში** უთანხმოების ჩამოვარდნა საყურადღებოც არ იქნება. მეტს არას ვამბობთ ამ ჟამათ ჩვენ შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების შესახებ, მხოლოთ კვლავ ვურჩევთ ბ. გომართელს, ვურჩევთ ამხანაგურათ, თუ კი მას იმ დიდი მიზნის სამსახური უნდა, რომელსაც აღნიშნავს თვის ამ პაწია წერილში, ერიდოს მოლიპულ გზაზე სიარულს, და თავისი სამწერლო მოღვაწეობის კონტროლი მიანდოს იმავე ამხანაგებს, რომელთა გვერდით დგომა მას უნდა. წინააღმდეგ შემთხვევაში „წვრილმანებიდან“ უთანხმოება „სხვილმანებზე“ გადავა, რის ნიშნებსაც გვაძლევს 29 ივლისის „ივერიის № და რუსული ანდაზა დაგვრჩება ხელში—„чѣмъ дальше въ лѣсъ, тѣмъ больше дровъ.

რედ.

ჩვენ ვიცით, რომ ნამდვილი აზრი მილიციის დაარსებისა იყო სწორეთ ის, რასაც თვალ-საჩინოთ გვიმტკიცებს მათი მოქმედება; სახელდობრ: გზებზე უმწეო ხალხის ძარცვა-გლეჯა; ხალხის გულ-შემატკივართა დევნა და თუ ხელში ჩაიგდეს მთავრობის აგენტთათვის გადაცემა; „მავნე“ ფურცლების გავრცელების წინააღმდეგ ღონის-ძიების მიღება; და ჯაშუშობა.

აი იმათი სამოქმედო პროგრამა და თუ რამდენათ შეასრულეს „მილიციონერებმა“ ეს პროგრამა, მკითხველებისათვის საიდუმლო აღარ არის.

ჩვენ გვწამს ხვალინდელი დღე! გვწამს, რომ დღეს თუ ხვალ ქართლელი გლეხი ანგარიშს მოსთხოვს „მილიციონერთა“ თავ-აშვებულ მოქმედებას და ვაი მათ, ვინც დღევანდელი დღით ხალხის თავ-მოყვარეების შესალახავათ სარგებლობს. ხალხს დიდი მოთმინებაც აქვს და სამაგიეროს გადახდაც ერთი ორათ იცის.

თბილისის მცხოვრებნი:

1) ალ. კ. ვაშაკიძე, 2) ვას. გ. ახობაძე, 3) ნ. ახობაძისა, 4) ფილიპ რაჰველიშვილი, 5) დ. რაჰველიშვილისა, 6) ტ. ენუქიძე 7) ჯ. ბაზღაძე, 8) ე. ბაზღაძესი, 9) ს. მარშანია, 10) ჟორჟი ტუსკია, 11) ვ. ვაშაკიძე, 12) ფილიპე ვაშაკიძე, 13) А. Вашакидзе, 14) ვ. კოპალეიშვილი. 15) ს. დადიანი, 16) ვ. გულდედავა, 17) ია. ლორთქიფანიძე, 18) მ. ბუაძე, 19) აბ. ესებუა, 20) კ. ლეკვეშვილი, 21) იასონ რუხაძე, 22) ი. გობრჩაიშვილი. 23) წ. პავლიევი, 24) ე. ბურჯულაძე, 25) ა. გოჩიტაშვილი, 26) ნ. გუჩმაზაშვილი, 27) დვარელიძე გიორგი, 28) ბ. სხირტლაძე, 29) ს. ფანოზიშვილი, 30) კ. დიდებულიძე, 31) ს. ვაწაძე, 32 ს. გარაყანიძე, 33) გ. ლოთქიფანიძე, 34) გ. ახვლედიანი, 35) ნ. ოკუჯავა, 36) ნ. მაისურაძე, 37) ა. ბოგავა, 38) გ. ტატიევი, 39) დ. ნიჟარაძე, 40) ვ. ხუციშვილი, 41) ი. ტუხაშვილი, 42) მ. კვალიევი, 43) კ. ცაგარეიშვილი. 44) მ. მანჟაკიძე 45) დ. ოდიშარია, 46) დ. წინამძღვაროვი, 47) ნიკოლოზ მეზვრიშვილი, 48) ფ. გებუაძე, 49) თ. ლორთქიფანიძე, 50) ფ. როსტაშვილი, 51) ვ. კენჭაძე, 52) ყ. კოპალეიშვილი, 43) 54) კოპალეიშვილი, 54) თომა ევსაჯანოვი, 55) თ. თავსაჯანოვი, 55) გ. გურხული 56) ნიკო თაქთაქაშვილი, 57) ამბაკო ობოლაძე. 58) პარმენ ახობაძე, 59) არჩილა რუსული, 60) ალექ. ქობულა, 61) გერასიმ შილავა, 62) ვ. გერმანაზაშვილი, 23) იოსებ კალაძე, 64) ივანე ბაქანიძე, 65 ნიკალაი იორდანოვი, 66) არსენ ტოიაშვილი, 67) აკოფოვი. 68) ს. ჰონიაშვილი, 69) ს. წიკლაური, 70) ამ. ჯ. ალანია. 71) ი. ჰივჰავაძე, 72) დ. დვალი, 73) გ. კვიკვიძე, 74) ვ. ჭეიშვილი, 75) ა. ჭიაბერაშვილი. 76) ა. ახალაძე, 77) ონის. ნიშნიანიძე, 78) ვ. დოლიძე. 78) მ. ინაშვილი, 79) ს. სანიკიძე, 80) გ. გოცირიძე, 81) ს. ვაშაკიძისა, 82) ს. კოპალეიშვილი, 83) კ. ხუდაშვილი, 84) მ. ნუცუბიძე.

III

ბატონო რედაქტორო!

ზენობრივ მოვალეთ ვთვლით ჩვენს თავს წინადგუდგეთ სოციალ-დემოკრატიულ საზოგადოებას, და კერძოთ იმასაც რომელიც ჩაიდინა და დღესაც გაჯიუტებული სდგია კახელ მეცნიერთა საზოგადოების „კახეთის“-ს გამგეობა, რომელმაც სულ უსაფუძვლოთ და არა, სამატიო მიზეზებით ქუჩაში გასროლა გამგეობაში მომუშავე რამდენიმე კაცი, მხოლოთ იმიტომ, რომ მათ გაფიცვით სამართლიანთ მოითხოვეს ის უფლება, რომელიც შეეხება გამგეობასთან ერთათ თანაბარში მონაწილეობის მიღებას ამა თუ იმ ამხანაგის მიღება-დათხოვნაში. ამ უსამართლობას ბოლო-ბოლო შეხვდა საზოგადოების შეკრებულმა ნაწილმა და დასდო კიდეც თავისი მსჯავრი. ჩვენც ქვემოთ მოხსენებულნი ბოლნი, ვუერთდებით რა საზოგადოების ნათელ აზრს, ვუცხადებთ უკმაყოფილებას „კახეთის“-ს გამგეობას და მასში გაფიცულების მხარეთ მომუშავე ბოლო.

კმარა, ბატონებო, წავიდა ის ნეტარი დრო, როდესაც ეგრეთი თქვენი შეხედულება სჭეშმარიტათ ითვლებოდა! ახლა სულ სხვა სიამ დაბერა! დროა იცხონოთ სადა მსჯელობა სამართლიან მოთხოვნაზე და თავი ანებოთ არა სასურველს და დრო-მოჭმულს ფუჭ თამოყვარეობას...

დროა, თქვენც, ბატონო სტუდენტო, (ო-დი მ. ჯიჩნაძე) ახლა მაინც შეიგნოთ ის დანაშაულება, რომლითაც ხელმძღვანელობს სტუდენტობის საუკეთესო ნაწილი!..

დანარჩენნო, გაფიცულების მხარეთ მომუშავენო, საჭიროთ არც კი ვთვლით თქვენს ასეთ შეუგნებელს მოქცევას ასეთა თხოვით. ან კი რა გვეთქმის, როდესაც მათი ბელადები ასეთ დენტი, გამგეობასთან ერთათ, გვერდში ამოგდგომიათ! თქვენთვის ხომ თავის გასამართლებლათ ესეც კმარა?!..

სჩანს ზოგიერთისთვის მეტათ ტკბილია სხვის ხარიდან გამონატეხი ლუკმა!... აი ამისთანა საქციელს ვუცხადებთ ზიზღს და სამარცხვინო ბოძზე ვკრავთ მის თანხრძნობლებსაც.

იმედია, ბატონებულმა საზოგადოებამ უფრო მეტი ყურადღებით მოეკერობა ამ გარემოებას და თავის მძღვარი პროტესტით მოწასთან გასწორებს მოწინააღმდეგეთა ჯიუტ თავმოყვარეობას.

1. ე. ხუციშვილი, 2. პ. სიდამონიძე, 3. კ. შენგელია, 4. ვ. კიარისაშვილი, 5. ს. რაზმაძე, 6. რამაძე დავითი. 7. სარდიონ ფოფხაძე, 8. ნიკოლოზ ფოფხაძე, 9. სოლომონ ფოფხაძე, 10. ივლიანე იაშვილი, 11. ვენია იაშვილი, 12. დალაქტიონ იაშვილი, 13. კოტე ზურაბოვ, 14. რაჟდენ კილასონია, 15. ერასტი ტოროტაძე, 16. ვასილი ურუშაძე, 17. ზედგინიძისა მარიამ: 18. ვასილი ხუციშვილი, 19. ტიტიკო ჭელიძე, 20. ნატალია ჩემია, 21. ელენა სვანიძე, 22. ი. ხოსროევი, 23. ნ. ორახელაშვილი, 24. ივანე ბოლქვაძე, 25. პლატონ ხუციშვილი, 26. ყარამანი N. 27. გაბო ნემსაძე, 28. ედიშერაშვილი, 29. ვ. გვინტარაძე, 30. ბ. ზ— ძე, 31. მინა ბაკურაძე, 32. ღ. წივნაძე, 33. ვ. ბილანოვი, 34. ანდრო ჭიაბერაშვილი, 35. ლიუბა თათეიშვილი, 36. დ. ჯაში, 37. ილიკო დარჩია, 38. სიკო ედილაშვილი, 39. იუსტინე ვადაჭკორია, 40. ან. ჭორიძე, 41. ფ. ელიოზიშვილი, 42. სერგო ჯიბლაძე, 43. დიმ. ქვლივიძე, 44. ალ. შარაძე, 45. სოლომონ ვადაჭკორია 46. ნესტორ ცინცაძე, 47. დათიკო ბერიევი, 48. გიორგი ბეჟანიშვილი, 49. გიორგი ბახტაძე (სტ.), 50. ნიკო ქოზაშვილი, 51. კოლა მალანია, 52. ილიკო რუსიშვილი, 53. ვანო ეგნატაშვილი, 54. ხარიტონ ლომთათიძე, 55. კოწია ქარცივაძე, 56. გიორგი ჯაბადარი, 57. დავით ჭელიძე, 58. ალექსანდრე მჭედლიშვილი, 59. Оганезовъ, 60. გ. მაისურაძე, 61. Ермань-чукъ, 62. Дошоевъ, 63. М. Абрамовъ, 64. Саркисовъ, 65. Менжицкій, 66. Н. Кистовъ, 67. Б. Ахвердовъ, 68. Долгоневъ, 69. Киркашидзе, 70. Балланюкъ, 71. Козловъ, 72. *Ф. Чочишвили*, 73. Мандрицкій, 74. Татіевъ, 75. Бобровъ, 76. Аревджаніянцъ, 77. А. Бондаренко, 78. გ. ხერუაშვილი, 79. Деменчукъ, 80. М. Грузинскій, 81. М. Андреевъ, 82. В. Ташкіани, 83. А. Терновъ, 84. Казановъ, 85. И. Петровъ, 86. А. Порхоменко, 87. А. Смирновъ, 88. И. Крупниковъ, 89. С. Бишнаджаковъ, 90. А. Конатовъ, 91. Ан. Кириченко, 92. И. Ермаковъ, 93. ნოე ლეჟავა, 94. ივანე შუბაშვილი, 95. სოსიკო 96. არამ ტერ-პოგოსიანც, 97. პავლე მინდიაშვილი, 98. საყვარელიძე (ტიტიკო) დიმიტრი, 99. არჩილ მაჩაბელი, 100. ვიკტორ ნათიშვილი, 101. ტიგრან კაზაროვ, 102. სანდრო ელბაქიძე, 103. Жирняковъ, 104. Тер-Теровъ Георгій, 105. Ивановъ Александръ, 106. Григорій Польшиковъ, 107. Иванъ Сидоренко, 108. Михаилъ Михаиловъ, 109. გიორგი მამულაშვილი, 110. კოტე მამულაშვილი, 111. Георгій Яраловъ, 112. რაფიელ ჩხეიძეშვილი, 113. მიხეილ ქოჩორაძე, 114. ნიკა ოქროპირიძე, 115. ვასო ქურდოვანიძე, 116. ავეტიკ დოლათოვ, 117. ნ. ფურცელაძე. 118. ვანო ტერ-ავეტისოვ, 119. ივანე ხახაშვილი, 120. Никита Ѳедоренко, 121. ვანო ბერბერაშვილი, 122. სიმონა აჯიაშვილი, 123. ვიქტორ ნათიშვილი, 124. გალუსტოვი პავლე, 125. აიკ ბელოვ, 126. იაგო ანდრიანოვი, 127. გრიშა ჯაფარიძე, 128. Ф. Шальъ, 129. იაკობ ჯაფარიძე, 130. ნიკოლოზ ოქროაშვილი, 131. პიმენ გაჩეჩილაძე, 132. Ѳеодоръ Минѣевъ, 133. იოსებ ფურცელაძე, 134. ილია ლომიძე, 135. მიხეილ გოგლიძე. 136. პლატონ გარსევანოვი, 137. სიმონ წერეთელი, 138. ქრისტესია ოთარაშვილი, 139. ალექსი ტიგრძილაძე, 140. (ვერ გავარჩიეთ) 141, პავლე ხეთაგუროვი, 142. В. Бюхнеръ, 143. რაჟდენ ბახტაძე 144. ე. ბახტაძე, 145. ნიკო ჯილაური. 146. ნ. ქურდოვანიძე, 147. ი. ქურსეველი, 148. И. Соловьевъ, 146. ბ. დალაქიშვილი (სტ.), 150 Н. Ивановъ (студ.), 151. სტ. ხიზანიშვილი, 152. ა. ბარამიძე, 153. ა. თავდიშვილი, 154. ვ. ბებრიშვილი 155. ნ. ჯმუხაძე, 156 ნ. ჯაფარიძე, 157. ათ. მეიფარიანი 157. გ. დალაქიშვილი, 159. ი. დუჩიძე, 166. პ. სამსონია, 161. Г. Вартановъ, 162. დათიკო ფერაძე, 263. ალექსანდრე მუმლაძე.

რედ.-გამომც. **ი. პ. როსტომაშვილი.**

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 30-го Іюля 1905 г.

სტამბა ე. ი. ხელაძისა, რუსის ბაზარი, სახლი სომხ. სას. სემ.